საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 78 (880)

ოთხშაბათი, 11 მაისი, 1994 წელი.

ფასი 5000 კუპონი

### საქართველოს რესპუბლიკის
## კ ა ნ ო ნ ი
### საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 18 დეკემბრის კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992 წ., 2, მუხ. 93) მე-4 მუხლს სიტყვების „სპორტისა და ტურიზმის კომისია“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ვეტერანების კომისია“.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური**
**ედუარდ შევარდნაძე.**
**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე**
**რუსუდან ბერიძე.**

თბილისი. 1994 წლის 10 მაისი.

### საქართველოს პარლამენტის
## დადგენილება
### მევლუდ წიკლაურის საქართველოს პარლამენტის ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

**საქართველოს** პარლამენტი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს **მევლუდ წიკლაური** საქართველოს პარლამენტის ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე**
**რუსუდან ბერიძე**

თბილისი. 1994 წლის 10 მაისი.

### საქართველოს პარლამენტის
## დადგენილება
### თეიმურაზ კოპალეიშვილის საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

**საქართველოს** პარლამენტი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს **თეიმურაზ კოპალეიშვილი** საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე**
**რუსუდან ბერიძე**

თბილისი. 1994 წლის 10 მაისი.

### საქართველოს პარლამენტის
## დადგენილება
### საქართველოს პარლამენტის დროებით რეგლამენტში დამატების შეტანის შესახებ

**საქართველოს** პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს პარლამენტის დროებითი რეგლამენტის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992 წ. I, მუხ. 6) 37-ე მუხლს სიტყვების „სპორტისა და ტურიზმის კომისია“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ვეტერანების საქმეთა კომისია“.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე**
**რუსუდან ბერიძე**

თბილისი. 1994 წლის 10 მაისი.

### საქართველოს პარლამენტის
## დადგენილება
### საქართველოს პარლამენტის ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის შესახებ

**საქართველოს** პარლამენტი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის ხმის დამთვლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**აკაკი ბრეგაძე, ნიკოლოზ გონაშვილი, შალვა კეკელია, როინ ლიპარტელიანი, ანდრო ლოლაძე, როზა ლორთქიფანიძე, თამაზ ობგაძე, გელა ქვლივიძე, ზურაბ შენგელია, გია ციხისთავი, ტარიელ ციბელაშვილი, გიორგი წულაია, რამაზ ბიზანიშვილი.**

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე**
**რუსუდან ბერიძე**

თბილისი. 1994 წლის 10 მაისი.

### საქართველოს პარლამენტის
## დადგენილება
### საქართველოს პარლამენტის დროებით რეგლამენტში ცვლილების შესახებ

**საქართველოს** პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს პარლამენტის დროებითი რეგლამენტის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992 წ., 2, მუხ. 6):

1. 30-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: სპიკერის არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ კენჭისყრის წინ რეგისტრაციაში გატარდა პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ორი მესამედი.
2. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე**
**რუსუდან ბერიძე**

თბილისი. 1994 წლის 10 მაისი.

## საუბარი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში

**10 მაისს** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიქვაიძემ მიიღო ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოს რესპუბლიკაში კენტ ბრაუნი. საუბრისას განიხილეს ამა წლის 13 მაისს თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებული საკითხები. დელეგაციას მეთაურებს ახლად შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან მუშაობის კოორდინატორი სახელმწიფო მდივნის თანაშემწის რანგში ელჩი ფრანკლინ კოლინზი.

ელჩმა მინისტრს გააცნო კონფლიქტის ზონებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მოქმედ სამშვიდობო ძალების საქმიანობასთან დაკავშირებული მუშაობა.

საუბრის დროს განიხილეს საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საკითხები.

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

**ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით, ჩვენი ოჯახის, მისი ახლობლების სახელით გულწრფელი მადლობა ვუთხრათ სრულიად საქართველოს, მთელ ხალხს ჟიული შარტავას დაბადების 50 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისათვის, ჩვენს მიმართ გამოჩენილი თანაგრძნობისა და თანადგომისათვის.**

**მადლიერების გრძნობით გვინდა მივმართოთ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, პარლამენტს, მინისტრთა კაბინეტს, თბილისის მერიას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, სენაკელებს, საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლებს, მთელ ჩვენს საზოგადოებრიობას ჟიული შარტავას ღვაწლის ღირსეულად დაფასებისათვის, მისი სახელის უკვდავსაყოფად გაწეული საქმიანობისათვის.**

**მოწიწებითა და მადლიერებით მივმართავთ უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II-ს, ქართული ეკლესიის სამღვდელოებას ჟიული შარტავას სულის მოსახსენიებლად აღვლენილი პანაშვიდებისა და ლოცვებისათვის.**

**ამ დღეებში, ჩვენ, მისმა ოჯახმა, კიდევ ერთხელ ნათლად შევიგრძენით, რომ უკვალოდ არ ჩაუვლია მის მიერ განვლილ ცხოვრებას, ამაოდ არ დაფერფლილა მისი ლამაზი სიცოცხლე. ქართველი ხალხის თანადგომა, ჟიული შარტავას მიმართ გამოხატული დიდი სიყვარული და პატივისცემა ჩვენთვის ყველაზე დიდი საუნჯეა, რომელსაც თვალისჩინივით გავუფრთხილდებით, რათა მისმა სახელმა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა და თავდადებამ გზა გაუნათოს მომავალ თაობებს საქართველოს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში.**

**ჟიული შარტავას ოჯახი.**

---

# საქართველოს პარლამენტს

დღეს ქვეყნის ცხოვრებაში ის პერიოდია, როცა ხელისუფლებამ ურთულესი პოლიტიკური და სოციალური პრობლემების მოგვარებასთან ერთად გადაუდებელი ზომები უნდა მიიღოს ახალი ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად.

როგორც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, ისე ახალი ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ხელისუფლებითი ურთიერთობის ფორმულირება საქართველოს სახელმწიფოებრიობის, მისი განვითარების აუცილებელი პირობაა.

ეკონომიკური რეფორმის, ახალი საზოგადოებრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში განუზომელია ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობის — პარლამენტის როლი.

ამასთან საგულისხმოა, რომ სამართალშემოქმედება აშკარად ჩამორჩება ცხოვრებას, ჩვენი საზოგადოების მოთხოვნებს. სამართლებრივი მოწესრიგების მიღმა დარჩენილია უმნიშვნელოვანესი ქონებრივი და არაქონებრივი, ორგანიზაციული, ხელისუფლებითი ურთიერთობა, რაც არსებით ბარიერებს უქმნის ეკონომიკის რეფორმას, ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისთვის ხელშემწყობი პირობების წარმოშობას.

საგულისხმოა ისიც, რომ მოძველდა არსებული კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის გარდაქმნის პერიოდის სამართლებრივ აქტებს განეკუთვნება; თანამედროვეობის მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს პოსტსოციალისტური პერიოდის ე. წ. „პირველი თაობის“ კანონები, მათ ნაცვლად საჭიროა ახალი ნორმები, რომლებიც უფრო რადიკალური რეფორმის იდეის მატარებლებად მოგვევლინებიან და საბაზრო ეკონომიკის განვითარების უფრო მყარ სამართლებრივ გარანტიებს შექმნიან.

სამწუხაროდ, ჩვენთან ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ამ პერიოდის ზოგიერთი სამართლებრივი გამოცდილების დროული ათვისებაც კი. კერძოდ, რამდენიმე თვეა განუხილველია პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტები „გირავნობის შესახებ“, „იჯარის შესახებ“, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“; ანუ ლაპარაკია ისეთ კანონებზე, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია პრივატიზაციის სრულყოფილი განხორციელება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში შრომითი ურთიერთობის მოწესრიგება, მუშა-მოსამსახურეთა შრომითი უფლებების დაცვა შეუძლებელია, თუ არ გვექნება კოლექტიური ხელშეკრულებები და კოლექტიური დავის გადაწყვეტის ის სამართლებრივი საშუალებები, რომლებსაც ითვალისწინებენ ასევე პარლამენტში კარგა ხნის წინათ წარმოდგენილი კანონპროექტები.

უახლოეს პერიოდში მთავრობამ პარლამენტში უნდა წარმოადგინოს სამი სხვადასხვა სახის კანონპროექტი, რომელთა განხილვას პარლამენტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს. კანონპროექტთა პირველი ციკლი შეეხება უშუალოდ ეკონომიკურ ურთიერთობას. მათ შორისაა კანონპროექტი „საწარმოთა შესახებ“, რომელიც ამჟამად მოქმედი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ კანონისაგან განსხვავებით დეტალურად აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს, თანაბარ პირობებში აქცევს საკუთრების ყველა ფორმას, იძლევა მათი რეგისტრაციის ახლებურ წესს და სამეწარმეო საქმიანობის სხვა მეტად საყურადღებო იურიდიულ გარანტიებს. ამავე ციკლს განეკუთვნება აგრარული ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტები, რომელთა მიღებას საარსებო ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს. ასეთია პირველ რიგში კანონი „მიწის საკუთრების შესახებ“. ასევე საარსებო ეკონომიკური მნიშვნელობისაა კანონპროექტები სატრანსპორტო ურთიერთობის შესახებ, კრედიტების შესახებ, ფასიანი ქაღალდების შესახებ, დაზღვევის შესახებ, ბინის საკუთრების შესახებ და სხვა.

მისაღებ კანონპროექტთა მეორე ციკლს განეკუთვნება ის კანონპროექტები, რომლებიც შეიცავენ ზემოაღნიშნულ მატერიალურ ურთიერთობებში სამეურნეო სუბიექტების უფლებების დაცვის საპროცესო სამართლებრივ გარანტიებს, კერძოდ, იგულისხმება კანონპროექტები ეკონომიკური დავის განხილვის წესის შესახებ, სამედიატორო სასამართლოს შესახებ, ნოტარიატის შესახებ და, საერთოდ, სასამართლო რეფორმის შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს ქონებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების პარალელურად იმ სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების შემუშავების აუცილებლობა, რომლებიც მოწოდებული იქნებიან დაიცვან ნორმალური სამეწარმეო ურთიერთობა და მეწარმის პიროვნება.

მისაღები აქტების მესამე ციკლს განეკუთვნება ის კანონები, რომლებმაც ქვეყნის მიერ არჩეული დემოკრატიული კურსის შესაბამისად უნდა მოაწესრიგონ ხელისუფლებითი ურთიერთობა. ესაა „სახელმწიფო სამსახურის“, „სახელმწიფო საიდუმლოების“, პოლიტიკური პარტიების შესახებ და სხვა მრავალი.

პარლამენტმა თავისი უფლებამოსილების პერიოდში უნდა შეძლოს აგრეთვე პოლიფიცირებული სამართლებრივი აქტების — კოდექსების მიღება. მისაღებია ახალი სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის, შრომის სამართლის, სისხლის და სამოქალაქო საპროცესო სამართლის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსები.

ჩვენი ქვეყნისათვის ურთულეს პერიოდში ამ დიდი სამუშაოს გადაუდებელ შესრულებას ისტორიული მნიშვნელობა აქვს და თუ სამართალშემოქმედების გზაზე პარლამენტი, მისი კომისიები რადიკალურ ნაბიჯებს არ გადადგამენ, ბუნებრივია, შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლების სხვა ორგანოებთან ერთად პარლამენტმაც უნდა გაიზიაროს.

ამ წერილში მხოლოდ ის კანონები და კანონშემოქმედების ის მიმართულებები ჩამოვთვალე, ურომლისოდაც ეკონომიკურ და სხვა რეფორმებზე ლაპარაკი მხოლოდ ზოგად ფრაზებად და პოპულისტურ მოწოდებად დარჩება.

მე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, მზად ვარ აქტიურად ვითანამშრომლო ყველა კომისიასთან, ფრაქციასთან, ცალკეულ პარლამენტარებთან კანონშემოქმედებითი პროცესის დაჩქარების მიზნით.

ე. შევარდნაძე.

### უახლოეს პერიოდში განსახილველი კანონპროექტები

1. კანონი „საწარმოთა შესახებ;
2. კანონი „ბინის საკუთრების შესახებ“;
3. კანონი „თამასუქის შესახებ“;
4. კანონი „ჩეკის შესახებ“;
5. კანონი „სახელმწიფო მოსამსახურის შესახებ“;
6. კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“;
7. კანონი „საბაჟო გადასახადის შესახებ“;
8. კანონი „სააუდიტორო საქმიანობის შესახებ“;
9. კანონი „სავალუტო რეგულირებისა და სავალუტო კონტროლის შესახებ;
10. კანონი „მიწათსარგებლობის საფასურის შესახებ“;
11. კანონი „ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებზე გადასახადის შესახებ“;
12. კანონი „სატრანზიტო გადასახადის შესახებ“;
13. კანონი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადის შესახებ“;
14. კანონი „გარემოზე ზემოქმედების გადასახადის შესახებ“;
15. კანონი „სავაჭრო პალატის შესახებ“;
16. კანონი „სამუშაო დროის შესახებ“;
17. კანონი „სამედიატორო სასამართლოს შესახებ“;
18. კანონი „ბირჟის და საბირჟო საქმიანობის შესახებ“;
19. კანონი „კრედიტების შესახებ“;
20. კანონი „წიაღის შესახებ“;
21. კანონი „სამრეწველო ნიმუშის შესახებ“;
22. კანონი „საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“;
23. კანონი „მონოპოლური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“;
24. კანონი „საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაციისა და სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაციისათვის გადასახადის შესახებ“;
25. კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“;
26. კანონი „ნოტარიატის შესახებ“;
27. კანონი „მიწის საკუთრების შესახებ“;
28. კანონთა პაკეტი „ტრანსპორტის შესახებ“;
29. კანონთა პაკეტი „დაზღვევის შესახებ“;
30. კანონთა პაკეტი „სასამართლო რეფორმის შესახებ“;
31. სამოქალაქო სამართლის კოდექსი;
32. სისხლის სამართლის კოდექსი;
33. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

### პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტები

1. კანონი „გირავნობის შესახებ“;
2. კანონი „იჯარის შესახებ“;
3. კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“;
4. კანონი „საინვესტიციო საქმიანობის შესახებ“;
5. კანონი „სახელმწიფო საკუთრების უფლებების გამიჯვნის შესახებ“;
6. კანონი „კოლექტიური ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესახებ“;
7. კანონი „კოლექტიური დავების გადაწყვეტის შესახებ“;
8. კანონი „ცვლილებები და დამატებები სისხლის სამართლის, საპროცესო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში“, ეკონომიკურ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის საკითხებთან დაკავშირებით.

---

### საქართველოს პარლამენტში
# „ცეცხლოვანი“ განცხადება და... გაურკვევლობის კვამლი

10 მაისის საპარლამენტო სხდომამ, სანამ დღის წესრიგამდე მივიდოდა, ტრადიციული „მოთელვა“ განცხადებებით გაიარა.

გია ხავთასმა დაიწუნა გელა ნიკოლეიშვილის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ იმ მოტივით, რომ პარლამენტს არა აქვს მორალური უფლება ხალხის მიერ არჩეული დეპუტატი გარიცხოს ან გაიწვიოს.

ზურაბ ჟვანიას აზრით, შეუძლებელია ორას ოცი დეპუტატიდან ყველას მოსთხოვო მთელი სხდომის მანძილზე მშვიდად უცქიროს მავანთა და მავანთა მახვილსიტყვაობაში ვარჯიშს...

კანონპროექტი „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ კენჭისყრაზე დადგა, მაგრამ ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მოაგროვა. ასევე არ დამტკიცდა პირველ ცდაზე ვეტერანთა კომისიაც. მეორედ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა და დღემდე არსებულ ჩვიდმეტ საპარლამენტო კომისიას კიდევ ერთი — ვეტერანთა კომისია დაემატა.

შემდეგ გაიმართა ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარის არჩევნები. ამ თანამდებობაზე **მევლუდ წიკლაური** დაამტკიცეს, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ კი — **თეიმურაზ კოპალეიშვილი.** ვეტერანთა კომისიის თავმჯდომარის დამტკიცება ამ სხდომაზე ვერ მოხერხდა.

სხდომის დასასრულს შალვა ნათელაშვილმა შემოიტანა წინადადება იურიდიული კომისიის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტის განხილვა ხუთშაბათის სხდომისთვის გადაეტანათ, პარლამენტმა ეს წინადადება მიიღო...

ის იყო, სხდომა დასასრულს უახლოვდებოდა, რომ წასასვლელად გამზადებული დეპუტატები ირაკლი წერეთელმა შეაჩერა დარბაზში, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ცეცხლოვანი“ განცხადების გასაკეთებლად. თავისი ვრცელი, საკმაოდ არეულ-დარეული (როგორც თვითონვე უწოდა) გამოსვლიდან მხოლოდ ის იყო გასაგები, რომ:

1. საქართველოში კვლავ ირევა სიტუაცია და რაღაც მზადდება.
2. თუ რუსეთს მართლა არ უნდა შევარდნაძე (რაშიც მას — წერეთელს ეჭვი ეპარება), მაშინ შევარდნაძე უნდა დარჩეს თავის პოსტზე (?!).

რატომ შეარჩია მაინცდამაინც 10 მაისის სხდომა ამ განცხადების გასაკეთებლად ირაკლი წერეთელმა, ეს ჯერ არავინ იცის, ეს კია, რომ დაპირებული ცეცხლის ნაცვლად მან დარბაზში მხოლოდ გაურკვევლობის კვამლი დატოვა, აინთება თუ არა ცეცხლი, ამას დრო გვიჩვენებს.

**ფერიდე ბიწაძე,**
„სრ“ საპარლამენტო კორესპონდენტი.

---

### საკითხს აყენებს მეცნიერი
# პოლიტიკური სტაბილურობა და ტრანსნაციონალური კორპორაციები

**საქართველოს** ეკონომიკა **ღრმა კრიზისშია. დღის წესრიგში განსაკუთრებული სიმწვავით დადგა საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ეკონომიკური საფუძვლების ყოფნა-არყოფნის შესახებ. ვერცერთი სახელმწიფო ვერ იარსებებს სათანადო ეკონომიკური საფუძვლების უქონლად და არც საქართველოა ამ შემთხვევაში გამონაკლისი.**

რესპუბლიკაში ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ ფაქტორთაგან განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა პოლიტიკური არასტაბილურობა, რის გამოც, საქართველოდან არაერთი მეწარმე გადაიხვეწა. ქვეყნიდან გაიზიდა დიდძალი კაპიტალი, ხოლო სოლიდური უცხოური ინვესტორები საქართველოში საკუთარი კაპიტალის დაბანდებას არ ჩქარობენ. ვიდრე ქვეყანაში არ მივაღწევთ პოლიტიკურ სტაბილურობას, ეკონომიკური კრიზისის დაძლევა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. თუმცა, შესაძლებელია მოიძებნოს ისეთი ეკონომიკური ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევას.

ერთი საგაზეთო წერილი, ბუნებრივია, წამოჭრილი პრობლემის ყველა ასპექტს ვერ მოიცავს. უწინარესად ეკონომისტის პოზიციებიდან გამომდინარე აქ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს განვიხილავთ.

თუკი ჩვენი პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგების უდიდესი ნაწილის გარკვეულწილად სამართლიან მოსაზრებას გავიზიარებთ, საქართველოში პოლიტიკური არასტაბილურობის გამომწვევი უმთავრესი მიზეზები ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან იღებს სათავეს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ჩვენი და მათი ინტერესების იმგვარი შეთანაწყობა, რომ მათ ჩვენი პოლიტიკური სტაბილურობა უფრო აძლევდეთ ხელს, ვიდრე მისი დარღვევა. ეს პრობლემა მრავალასპექტიანია და, ამდენად, გადასაწყვეტად — ურთულესი.

ძალთა დაბალანსების მიზნით, აუცილებელია მსოფლიოს დიდი შვიდეულის ქვეყნებიც იყვნენ დაინტერესებული სტაბილური საქართველოთი, რათა ისინი წინ აღუდგნენ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის შესაძლო არაკეთილმეზობლურ ქმედებებს.

ინტერესთა საკმაოდ ვრცელ სპექტრში ეკონომიკურ ინტერესებს, საყოველთაო აღიარებით საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. აქედან გამომდინარე აუცილებელია ეკონომიკურ ინტერესთა მასტაბილიზებელი ფუნქციის ამოქმედება.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ უცხოელები საქართველოში რეალური სერიოზული ინვესტიციების განხორციელებისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებენ. ამ მხრივ, გამონაკლისია რუსული კაპიტალი. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში მომზადდა დოკუმენტები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს მასში გაერთიანებულ სახელმწიფოთა სამრეწველო, სავაჭრო და საფინანსო კაპიტალის ინტეგრაციას ტრანსნაციონალური კორპორაციების შექმნის გზით.

საქართველო ამჟამად კაპიტალის „შიმშილს“, ინვესტიციების უკმარისობას განიცდის. რუსეთთან და თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ტრანსნაციონალური კორპორაციების შექმნა ამ პრობლემას მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს. ისინი ხელს შეუწყობენ საწარმოებსა და ფირმებს შორის პირდაპირი ეკონომიკური კავშირურთიერთობის დამყარებას და ჩვენს მეწარმეებს რუსეთისა და თანამეგობრობის სხვა ქვეყნების უკვე პრაქტიკულად დანაწილებულ ბაზრებში საკუთარი „ნიშების“ გამონახვის ქმედითუნარიან შესაძლებლობებს შეუქმნიან.

ამ მიმართულებით პირველივე სერიოზული ნაბიჯების გადადგმა რუსეთს საქართველოში შეუქმნის პოლიტიკური სტაბილურობის დამყარების ეკონომიკურ ინტერესს, რათა არ დაკარგოს უკვე დაბანდებული კაპიტალი.

როგორც კი რეალურად გამოიკვეთება პოლიტიკური სტაბილურობის ნიშნები, უკვე მსოფლიოს დიდი შვიდეულის (და არა მარტო მათი) ქვეყნებიდანაც დაიძვრება ჩვენსკენ კაპიტალი, რომელიც შექმნის ამ ქვეყნების ფირმებთან ერთად ტრანსნაციონალური კორპორაციების ჩამოყალიბების საშუალებას. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ჩვენში არა მარტო პოლიტიკური სტაბილურობის დამყარებისათვის, არამედ ეკონომიკური კრიზისის დაძლევისა და შემდგომი ეკონომიკური აღმავლობისათვის.

ამგვარი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისას საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე, რადგანაც ერთი შეხედვით მცირედმა შეცდომამაც კი შეიძლება საგალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს. კერძოდ, უწინარეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ საქართველოს რომელი რეგიონის საწარმოები აღმოჩნდებიან საწყის ეტაპზე ტრანსნაციონალური კორპორაციების წევრები. პრობლემებისადმი რეგიონული მიდგომა განპირობებულია იმ უმძიმესი მდგომარეობით, რომელიც შექმნილია უწინარეს ყოვლისა აფხაზეთში და, გარკვეულწილად, ყოფილ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. თუ კი ამ მწვავე კონფლიქტურ და მათ მომიჯნავე რეგიონებში განლაგებული საწარმოები ტრანსნაციონალური კორპორაციების შემადგენლობაში აღმოჩნდებიან, მაშინ პოლიტიკური სტაბილურობის ზემოთ განხილული ეკონომიკური ინტერესი იმოქმედებს აფხაზეთისა და ყოფილ სამხრეთ ოსეთში ჩვენთვის არახელსაყრელი დღევანდელი მდგომარეობის განმტკიცებაზე. ამგვარი მიდგომა დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ რეგიონებში მშვიდობიან მოლაპარაკებათა საფუძველზე შესაძლებელი იქნება საქართველოს იურისდიქციის სრული აღდგენა, რასაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, სასიკეთო პირი არ უჩანს. ტრანსნაციონალური კორპორაციები ქმნიან პოლიტიკური სტაბილურობის ეკონომიკურ საფუძვლებს, რაც სულაც არ არის საკმარისი ხსენებულ სამშვიდობო მოლაპარაკებათა გზით საქართველოს მთლიანობის აღდგენისათვის.

აქედან გამომდინარე, დღევანდელ ეტაპზე მიზანშეწონილია ტრანსნაციონალურ კორპორაციებში იმ საწარმოთა გაერთიანება, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, თავმოყრილია თბილისში, კახეთში, სამხრეთ საქართველოს რეგიონებში (ეს გარკვეულწილად განმუხტავს ზოგიერთ მათგანში ფეთქებადსაშიშ სიტუაციებს). განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საწარმოთა შერჩევას, რადგანაც საკითხი ამა თუ იმ პროფილის საწარმოს ტრანსეროვნულ კორპორაციაში შესვლის შესახებ უნდა დაექვემდებაროს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს და იგი სახელმწიფომ არეგულიროს.

ტრანსნაციონალური კორპორაციების ქსელის გაფართოებამ შესაძლოა საქართველოს სხვა რეგიონებზეც შეასრულოს ერთ-ერთი ჩვენთვის სასარგებლო, მაგრამ შესაძლო ფარული არგუმენტის როლი იმ „მესამე“ ქვეყნებისათვის, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ უფლებამოსილი არიან მონაწილეობა მიიღონ და გარკვეულწილად დაარეგულირონ კიდეც ხსენებული სამშვიდობო მოლაპარაკებები და იმავდროულად, ამგვარი კორპორაციებისაგან უშუალო ეკონომიკური ინტერესი ექნებათ.

ტრანსნაციონალურ კორპორაციებში საქართველოს ზემოთ ჩამოთვლილი რეგიონების საწარმოთა გაერთიანება მათ ეკონომიკურად მოამძლავრებს. ამას არსებითი მნიშვნელობა ექნება მწვავე კონფლიქტური რეგიონების მომიჯნავე ტერიტორიებზე მცხოვრებთა ეკონომიკური მხარდაჭერისათვის, ხოლო კონფლიქტების მოგვარების შემდეგ ყველა ამ რეგიონის პირველადი ეკონომიკური დახმარების აღმოჩენისათვის.

ყოველივე ეს მოითხოვს საქართველოს სახელმწიფოსაგან აქტიურ ზემოქმედებას, ტრანსეროვნული კორპორაციების შექმნისა და ფუნქციონირების სათანადო მიმართულებით წარმართვას. აუცილებელია მომზადდეს და პარლამენტმა მიიღოს სათანადო საკანონმდებლო ბაზა, შემუშავდეს ტრანსეროვნული კორპორაციების შექმნისა და მასში სამამულო საწარმოთა, ფირმების მონაწილეობის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს ცალკეული რეგიონებისა და დარგების პრიორიტეტებს დროის ამა თუ იმ მონაკვეთში, ჩამოაყალიბებს ჩვენი მოქმედების სტრატეგიას.

**ვლადიმერ პაპავა,**
**საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან არსებული საგარეო ეკონომიკური საბჭოს წევრი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.**

**რედაქციისაგან: ბატონმა ვლადიმერ პაპავამ თავის სტატიაში ფრიად საყურადღებო პრობლემა წამოჭრა. ვიმედოვნებთ, უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი საქართველოს ბედით დაინტერესებული მეცნიერები, სპეციალისტები, მკითხველები დასმულ საკითხს უეჭველად გამოეხმაურებიან და პრობლემის გადაჭრის საკუთარ გზებსაც შემოგვთავაზებენ.**

---

## მერვე სვეტი

### სეზონი დაიწყო

საქართველოში დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი. მისი პირველი კილოგრამები მოკრიფეს ოზურგეთის რაიონის ლაითურის აგროკომბინატში, სადაც სიძნელეთა მიუხედავად, კარგი მოსავალი მოიწიეს.

წლევანდელი კამპანია, როგორც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროში თქვეს, ორი კვირის დაგვიანებით დაიწყეს. ეს მარტო ამინდის პირობებით არ არის გამოწვეული. აზოტიანი სასუქების, დიზელის სათბობის უქონლობის გამო პლანტაციათა ნაწილი დაუმუშავებელი დარჩა.

წინასწარი პროგნოზით, რესპუბლიკის მეჩაიეები აპირებენ წლეულს გადასამუშავებლად ჩააბარონ დაახლოებით 240 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი.

### ქარხანა ამუშავდა

ექვსთვიანი შეჩერების შემდეგ მუშაობა განაახლა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ. ამჯერად ჩაირთო მხოლოდ მეორე და მეოთხე საამქროების რამდენიმე ღუმელი.

მალე ამუშავდება კალციუმის-კარბიდის მწარმოებელი პირველი საამქროს ერთი ღუმელიც.

ზესტაფონელი მეტალურგები ელოდებიან უახლოეს დროში 100 მეგავატის სიმძლავრის ელექტროენერგიის მოწოდებას, რომელიც უზრუნველყოფს ქარხნის 50 პროცენტით ამოქმედებას.

**ჰენრი შარიქაძე,**
„სრ“ საკ. კორ.

### გამარჯვების დღესასწაული ბათუმში

ბათუმელებმა ფართოდ აღნიშნეს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაული. თავისუფლების მოედანზე შეიკრიბნენ დიდი სამამულო ომის ვეტერანები, საქართველოსა და რუსეთის შეიარაღებული ძალების, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელები. დღესასწაული დაიწყო სამწყობრო სიმღერით, შემდეგ ბათუმის გარნიზონის ნაკრები ორკესტრის მარშის თანხლებით საზეიმო დემონსტრაცია გაემართა დიდების ობელისკისაკენ, რომლის კვარცხლბეკიც გვირგვინებით შეამკეს. ასეთივე ცერემონია გაიმართა დიდი სამამულო ომის წლებში დაღუპულ მეომართა საძმო სასაფლაოზეც.

გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობდა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე.

### მიტინგი ბორჯომის ძმათა სასაფლაოზე

9 მაისს ბორჯომის ძმათა სასაფლაოზე გაიმართა ხალხმრავალი საზეიმო მიტინგი მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 49-ე წლისთავის აღსანიშნავად.

მიტინგის მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს მეორე მსოფლიო ომის წლებში ბორჯომის სამხედრო ჰოსპიტლებში გარდაცვლილი ოთხასზე მეტი სხვადასხვა ეროვნების მებრძოლთა საფლავი.

რაიონული გამგეობის სახელით 279 ომის ვეტერანს ფულადი ჯილდო გადაეცათ.

### დესანტი უკუაგდეს

გუშინ დილით ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩასთან ავტომატური იარაღითა და ყუმბარმტყორცნებით შეიარაღებულმა აფხაზ სეპარატისტთა ჯგუფმა სცადა სადაზვერვო რეიდის განხორციელება ქართული პოზიციების სიღრმეში.

ქართველმა მებრძოლებმა დროულად შენიშნეს დესანტის გადაადგილება და მოწინააღმდეგე უკუაგდეს.

„იბერია“.



# ბრძოლა — ბანდიტიზმს

**საქართველოს** შინაგან საქმეთა სამინისტრომ რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამმართველოსთან და უშიშროების სამსახურთან ერთად მოაწყო მორიგი ფართომასშტაბიანი ოპერაცია, რომელშიც მონაწილეობდა პოლიციის 300-ზე მეტი თანამშრომელი და ჯავშანტექნიკის ცხრა ერთეული. ოპერაცია განხორციელდა წყალტუბოს რაიონში, სადაც ბოლო ხანს განსაკუთრებით გართულდა კრიმინოგენული ვითარება, გახშირდა ძარცვა, შეიარაღებული თავდასხმები.

ოპერაციის დროს დააკავეს ბანდიტიზმში ეჭვმიტანილი 20-ზე მეტი კაცი, ორ მათგანს ეძებდნენ ჩადენილი მძიმე დანაშაულებებისათვის. ოპერაციის დროს ჩამორთმეულია ოცამდე ავტომატი, 2 დამბაჩა, 2 ტყვიამფრქვევი, 3 ყუმბარმტყორცნი, დიდძალი ტყვია-წამალი, სამხედრო დანიშნულების ცხრა რადიოსადგური, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სამი მოპარული ბენზინმზიდი „უაზი", რამდენიმე მსუბუქი ავტომანქანა.

ოპერაციას პირადად ხელმძღვანელობდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა კვირაია.

პარალელურად ასეთივე ოპერაცია განხორციელდა რაჭის რეგიონში, ჩამორთმეულია დიდძალი ნარკოტიკული ნივთიერება და ცეცხლსასროლი იარაღი.

**სურათებზე:** წყალტუბოს რაიონში ოპერაციის დროს.

**ირაკლი გედენიძის** ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# შეხვედრა ბორჯომელებთან

**ახლახან** პარლამენტის სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა სიხარულიძე კომისიის წევრებსა და სპეციალისტებთან ერთად შეხვდა ბორჯომის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს. ლტოლვილებმა, მრავალშვილიანმა დედებმა, ინვალიდებმა, ომისა და შრომის ვეტერანებმა, მარტოხელებმა, ახალგაზრდებმა ილაპარაკეს რაიონში შექმნილ ვითარებაზე, ქვეყნის ყველა რეგიონისათვის დამახასიათებელ პრობლემებზე. მოითხოვეს, რომ ხელისუფლებამ მეტი ყურადღება გამოიჩინოს და ქმედითი ღონისძიებანი განახორციელოს მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში.

დასასრულ ბატონმა ზაზა სიხარულიძემ კითხვებზე უპასუხა შეხვედრის მონაწილეებს, რომლებმაც კმაყოფილება გამოთქვეს და მადლობა გადაუხადეს მას ქალაქ ბორჯომისა და ბორჯომის რაიონის ამომრჩევლთა პრობლემების ადგილზე გაცნობისათვის.

8 მაისს კი კომისია შეხვდა ახალციხის ადგილობრივი მმართველობის გამგეობას. საუბარი შეეხო შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, გამგეობის საქმიანობას მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში, ჰუმანური დახმარების მიღება-განაწილებას, კრიმინოგენურ მდგომარეობას. კომისიამ დაათვალიერა მუდმივმოქმედი უფასო სასადილო, შეხვდა გამგეობაში დახმარების თხოვნით მოსულ მოქალაქეებს. გამოითქვა სურვილი, რომ ამგვარ შეხვედრებს ორგანიზებული ხასიათი მიეცეს.

# იმსჯელეს კონტროლის პალატების მუშაობის ავ-კარგზე

**თელავში გაიმართა რესპუბლიკის კონტროლის პალატის ზონალური თათბირ-სემინარი, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ კახეთის რაიონების გამგებლები, სამართალდამცავი ორგანოებისა და საგადასახადო ინსპექციათა ხელმძღვანელები.**

როგორც შეხვედრაზე ითქვა, კონტროლის პალატა არსებობის ორ წელს ითვლის და ეს დრო სრულიად საკმარისია ამ მეტად მნიშვნელოვანი სამსახურის ღირსება-ნაკლოვანებებზე სამსჯელოდ. ილაპარაკეს ხარვეზებზე, რომლითაც ხასიათდება რაიონის კონტროლის პალატების საქმიანობა. კერძოდ, აღინიშნა, რომ დასახვეწია სამუშაო გეგმების შედგენის, მათი შესრულების პრაქტიკა. უმეტეს რაიონებში, რაოდენობრივად სანახევროდაც ვერ ხორციელდება გათვალისწინებული ობიექტების შემოწმება, ხშირად ირღვევა დადგენილი ვადები და წესი. არადა კონტროლის პალატის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური შესწავლა. სუსტია კონტროლი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისადმი. ღვინომასალა თუ საკონიაკე სპირტი ბევრ შემთხვევაში ჩალის ფასად იყიდება, ბარტერის სანაცვლოდ კი რესპუბლიკა არაფერს იღებს. ჯეროვან დონეზე ვერ დგას ყველა იმ სამსახურის კოორდინაცია, რომლებსაც სახელმწიფო ინტერესების დაცვა ევალებათ. შესაბამისი კანონი ამ მეტად საჭირბოროტო საქმეს სწორედ კონტროლის პალატას ავალებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მშრომელთა განცხადებებსა და წერილებს, ნორმირებული პროდუქციის განაწილებას, სოციალური სფერო დღეს ყველას უპირველეს საზრუნავად უნდა იქცეს.

თათბირ-სემინარში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მიხეილ ჩიკვილაძე, მოადგილე ავთანდილ მინაძე, სამმართველოსა და განყოფილებების უფროსები.

**ზურაბ არსენიშვილი,**
„სრ" საკ. კორ.

# ლაგოდეხის სიახლენი

**ლაგოდეხის** რაიონის სოფელ ცოდნისკარში აშენდა ეკლესია, მეორე — ქალაქის ცენტრში აიგება.

**ენერგოკრიზისის** პერიოდში გაიჩეხა ტყის მასივები. რაიონული გამგეობის გადაწყვეტილებით უკვე დაირგო 3.000 ძირი რცხილის, კოპიტის, კაკლის ნერგი.

**რაიონს** სადავო ჰქონდა კაბალჰესის საკითხი, რომელიც ფირმა „ვიქტორია-20"-ს ჰქონდა შესყიდული. დავა დადებითად გადაწყდა და რაიონმა დაიბრუნა ჰესი. ამჟამად მიმდინარეობს მისი აღდგენითი სამუშაოები.

**ეკონომიკის** გაუმჯობესების მიზნით ამ დღეებში ლაგოდეხში ჩამოსული იყვნენ ამერიკელი ბიზნესმენები (19 კაცი), რომლებიც თამბაქოს პროდუქციის მოყვანისა და რეალიზაციის პროგრამაზე იმუშავებენ. თამბაქოს ფაბრიკა, მართალია წლის განმავლობაში მუშაობდა, მაგრამ ნაღდი კუპონების სიმცირის გამო რაიონში მოყვანილ პროდუქციას ვერ ითვისებდა.

**საზოგადოებრივ** მეურნეობებში სახნავი ფართობი შეადგენს 13.500 ჰექტარს, აქედან 7500 ჰექტარია მოხნული. დათესილია ხორბალი, მზესუმზირა, თამბაქო, სიმინდი. ბევრი კოლმეურნეობა აგროფირმებად გადაკეთდა, ასეთი აქ 31-ია.

**ამ დღეებში** ლაგოდეხში ჩამოვიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჰუმანური მისიის წარმომადგენლები, რომლებმაც დაათვალიერეს საავადმყოფო-პოლიკლინიკა, გაეცნენ არსებულ მდგომარეობას, აღუთქვეს დახმარება სამედიცინო ტექნიკითა და წამლებით უზრუნველყოფის საქმეში.

**მოსახლეობას** ზამთრის განმავლობაში შეუფერხებლად მიეწოდებოდა ფქვილი, მალე დაიწყება პურის ცხობა, რადგან საგრძნობლად გაუმჯობესდა ელექტროენერგიის მიწოდება.

**ნაზი იმნაიშვილი,**
„სრ" სპეც. კორ.

## დისკუსია: სასოფლო-სამეურნეო კომპლექსი, პერსპექტივა

# ვიაზროვნოთ ახლებურად, გადავწყვიტოთ პრობლემები!

**საქართველოს** ეკონომიკა ღრმა კრიზისშია, თანაც იგი დღითიდღე მწვავდება. რა ვქნათ? საჭიროა უსწრაფესი რადიკალური ღონისძიებების განხორციელება.

უკვე დასამალი აღარ არის, რომ ეკონომიკური კრიზისი თვით ეკონომიკის მართვამ გამოიწვია. დღევანდელი ჩვენი ეკონომიკა, მართალია, საბაზრო ეკონომიკის ჩარჩოებში მოექცა, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ მოჩვენებითი ხასიათისაა და ზედგამოჭრილი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ძველებური უხეში ჩარევებით იგი არა თუ ვერ, არამედ არ მოვარგეთ საბაზრო ურთიერთობებს.

გარდაქმნას ხელს უშლის ჯერ კიდევ დასახვეწი როგორც შიდა, ისე გარეეკონომიკური პოლიტიკა, ხშირ შემთხვევაში, განუხორციელებელი ეკონომიკური მიდგომები.

ამის ერთ-ერთი (თუ ძირითადი არა) მიზეზია გაუთავებელი და უთავბოლო დებატები პარლამენტში თუ სხვა ინსტანციებში, დილეტანტთა მოძალება და მათი დაჟინებული მოთხოვნები, გვინდა თუ არა, მათი ვარაუდები სამოქმედო პროგრამად გავიხადოთ.

დასაფიქრებელია ისიც, რომ პარლამენტი და მინისტრთა კაბინეტი ერთმანეთს კრიჭაში უდგანან. თუ არ დაკანონდა, რომ პარლამენტმა კანონმდებლობის სფეროში ილვაწოს, მინისტრთა კაბინეტმა კი აღმასრულებელ სფეროში, და თუ არ მივეცით ავტონომიური უფლებები, როგორც მინისტრთა კაბინეტს, ისე სამინისტროებს, ეკონომიკა ყოველთვის ასეთ დღეში იქნება.

ცუდი პრაქტიკა მკვიდრდება: ყოველთვის და ყველაფერს პარლამენტი განიხილავს და წყვეტს. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ასეთ დროს თვით მართვა უშლის ხელს მართვას.

გამართლებულად არც ის მეჩვენება, რომ სახელმწიფოს მეთაურთან ცალკე რგოლის სახით ფუნქციონირებდეს საგანგებო ეკონომიკური საბჭო. მასში შედიან ისევ მინისტრთა კაბინეტის წევრები: პრემიერ-მინისტრი, ვიცე-პრემიერი, მინისტრები, აგრეთვე ზოგიერთი მეცნიერი და სხვა.

გამოდის, რომ ეკონომიკაზე უნდა იმსჯელოს პარლამენტმა, სახელმწიფოს მეთაურთან შექმნილმა საგანგებო ეკონომიკურმა საბჭომ, მინისტრთა კაბინეტმა, ეკონომიკური რეფორმების კომისიამ, ცალკე სამინისტროებმა და ა. შ. ამ მსჯელობათა და განხილვათა შედეგები თუ არ მოეწონა პარლამენტს, გაიმართება დებატები, რომელიც ან დასრულდება, ან გამოიყოფა კომისია ამა თუ იმ საკითხის შესასწავლად, რომლის შედეგები კვლავ პარლამენტის განხილვის საგანი გახდება.

ჩვენდა უნებლიეთ, იქმნება უმართავი წრე. პრობლემები გროვდება, მათი გადაწყვეტა ჭიანურდება, ეკონომიკური კრიზისი კი მწვავდება და მწვავდება.

ამასობაში ზოგიერთმა ჩვენმა ნიჭიერმა მეწარმემ თუ ბიზნესმენმა ხელი ჩაიქნია და მოსკოვს ან უკვე საზღვარგარეთად წოდებულ სხვა ქალაქებს მიაშურა, იქ დაიდო ბინა და საქმეს მიჰყო ხელი. აქაურები ახლა აქედან არ ასვენებენ მათ, საქართველოს ეკონომიკას უჭირს და ქველმოქმედების მიზნით, რაც შეიძლება მეტი თანხა გადმორიცხეთო.

აბა, როდის ყოფილა, რომ სხვისი მოიმედეობით შველებია ეკონომიკას. ჩვენს თავს ჩვენვე უნდა ვუშველოთ. ეკონომიკასაც ისეთი გასაღები უნდა მოვარგოთ, რომ ფეხზე წამოვაყენოთ და წელში გავმართოთ.

მაინც რა არის საჭირო ამისათვის? უპირველეს ყოვლისა, ის, რომ ეკონომიკას მხოლოდ ერთიანი სისტემით ვმართავდეთ და ეს ფუნქციები მინისტრთა კაბინეტს, ეკონომიკურ საბჭოსა და სხვა რგოლებს შორის არ იყოს გაორებული და დაქსაქსული. ამ მიმართულებით მიღებული ერთიანი, მტკიცე გადაწყვეტილებები დებატებისა და განხილვების საგნად არ ვაქციოთ და ისინი უთუოდ და დაუყოვნებლივ სრულდებოდეს.

დაბეჯითებით ვამბობ, რომ ეს საკითხი თუ პრინციპულად ასე არ გადაწყდა, ჩვენს ეკონომიკას არაფერი ეშველება. გამოიფიტებ-გამოიშიგნება და ათეულობით წლებით დაიხევს უკან.

სავსებით მისაღებია, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში პარლამენტმა შეწყვიტოს ფუნქციონირება და სახელმწიფოს მეთაურს მიეცეს უფლებები გამოსცეს ეკონომიკური და სხვა მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, დეკრეტები, დანიშნოს და გადააყენოს სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე ნებისმიერი პირი და სხვა.

ამ ეტაპზე სახელმწიფოს მეთაური თითქმის შეუზღუდავი უნდა იყოს, რათა სხვებისაგან ჩაურევლად და ყოველგვარი დებატების გარეშე მართოს ქვეყანა, შეუბოჭავად განახორციელოს შიდა და გარე პოლიტიკა. დღევანდელ პირობებში რამდენადაც შეზღუდული და შებოჭილი იქნება ეს პიროვნება, იმდენად შეზღუდული და შებოჭილი იქნება ქვეყნისა და მისი ეკონომიკის განვითარება, იმდენად დაგვიანდება კრიზისიდან მისი გამოყვანა. სახელმწიფოს მეთაურთან ალბათ უნდა შეიქმნას მცირერიცხოვანი (5-კაციანი) მრჩეველთა სახელმწიფო საბჭო, რომელსაც დიდი და დადებითი როლის შესრულება შეეძლება. მასში აუცილებლად უნდა იყოს მეცნიერ-ეკონომისტი და ახალგაზრდობის წარმომადგენელი.

საქართველოს ეკონომიკა კრიზისიდან რომ გამოვიდეს, ერთი მხრივ, აუცილებელია, მეორე მხრივ, კი, მრავალი პირობისა და ფაქტორის გათვალისწინებით, თითქმის გარდუვალია, რომ იგი გაერთიანებული იყოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. მისასალმებელია, რომ ეს ნაბიჯი, ბოლოს და ბოლოს, გადაიდგა. თავს ნუ ვიტყუებთ, ჩვენს ეკონომიკას რუსეთთან და თანამეგობრობაში გაერთიანებულ სხვა სახელმწიფოებთან მჭიდრო მრავალმხრივი კავშირების გარეშე გაუჭირდება. ამბიციური თამაშებით ამას რომ ვერ მივაღწევთ, ეს ცხადია. ყველაზე სწორია ჭკვიანური, ნათელი და არა დამალული და ორაზროვანი დიპლომატია.

იმისათვის, რომ ჩვენს ეკონომიკას ეშველოს, ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში კერძო საკუთრებითი ურთიერთობების დაუბრკოლებლივ განვითარება, რაც, ბიზნესსა და კომერციას უკავშირდება. ჯერჯერობით ვერც ბიზნესმა და ვერც კომერციამ შვება ვერ იგრძნეს. მათ თითქოს ყელში უჭირს მოუჭერილი საგადასახადო სისტემა. ეს სისტემა ისე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ კომერციას გასაქანი მისცეს, ბიზნესმენი მოღონიერდეს. თორემ რა გამოვიდა, ბიზნესი ჯერ ფეხზე არ დამდგარა და ახლავე გვინდა დავიბრიყვოთ და რაც შეიძლება მეტი გამოვძალოთ. ეს ეკონომიკასთან თამაშია, რაც სარგებლობას არ მოგვიტანს. ასეთ ვითარებაში ბიზნესს გაუკუღმართებული კონკურენცია ახლავს თან. ასე მოხდა ჩვენთანაც: ამჟამინდელი კონკურენცია ეს ბიზნესური კონკურენცია არ არის.

ბიზნესურ საქმიანობას ვერც ფულად-საკრედიტო მექანიზმი უწყობს ხელს. კერძო მეწარმეს ფულიც რომ ჰქონდეს ბანკში, მისი გამოტანისა და გამოყენების საშუალებას არ აძლევენ, თავისი სურვილის მიხედვით ვერც გადარიცხვით ოპერაციებს ჩაატარებს. მას ფული აქვს და თან არცა აქვს, რადგან მისი გამოყენების საშუალებას არ აძლევენ. კრედიტების აღებაც დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მისი გადასახადიც დიდზე დიდია, თანაც კომერციულ ბანკებს ზოგი ოპერაციის უფლება ჩამორთმეული აქვთ.

ეს დიდი დაბრკოლებაა ეკონომიკისათვის. თუ მეწარმეს გასაქანი არ მიეცი, რისი წარმოების იმედი უნდა გქონდეს?

გასარკვევია ფულადი ურთიერთობებიც. ბრუნვაში შემოვიდა ქართული კუპონი. თავიდანვე ცნობილი იყო და თანდათან უფრო დავრწმუნდით, რომ იგი არ არის საკმაოდ დასაქონლებული და კარგა ხნის მანძილზე ვერ დაამტკიცებს, რომ ის საქონელია, მექანიკური ჩარევით და ადმინისტრაციული მეთოდებით ფულად ურთიერთობებს ვერ გადავწყვეტთ. საბაზრო ეკონომიკას ფულთან ურთიერთობის თავისი კანონები აქვს. საჭირო და გამართლებულია სამანეთო ზონის სივრცეებში შესვლა, სხვა პარალელური ვალუტების მიმოქცევისა და ყიდვა-გაყიდვის დაშვება.

ფულს განამტკიცებს ეკონომიკური სიძლიერე, კარგად აგებული ეკონომიკური კავშირები და არა ადმინისტრირებითი და განკარგულებითი მიდგომები.

საბაზრო ეკონომიკის დროს ფასი თავისუფალია, როგორც კი შეზღუდავ, მაშინათვე უკურეაქციას იძლევა. იგი ეკონომიკის ბარომეტრის როლს ასრულებს. მასზე ზემოქმედებასა და გავლენას მხოლოდ წარმოების სფერო ახდენს. ამის შემდეგ აბა რა ზედმეტი ახსნა-განმარტებებია საჭირო იმის გასარკვევად, თუ როგორ გადავწყვიტოთ ფულისა და ფასების პრობლემა?

ჩვენი ეკონომიკის ხსნის ერთ-ერთი გზა აგრარულ სფეროშია. ახლა ეს უბანი ძნელად მოსაგვარებელი გახდა. დამახინჯებით ჩატარდა მიწების პრივატიზება, დაუსაბუთებლად დაიშალა ბევრი კარგად აწყობილი სასოფლო-სამეურნეო საწარმო, დაწვრილერთეულდა და დაქუცმაცდა სავარგულები.

ახლა მაინც ნუღარ შეგვეშლება, და დიდი სიფრთხილით მივუდგეთ მიწების ყიდვა-გაყიდვის საკითხს და ამ ურთულეს პრობლემას ჰაიჰარად, ხელის ერთი მოსმით ნუ გადავწყვეტთ. რაც ავჩქარდით, ისიც გვეყოფა.

საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებში უკანასკნელ წლებში ის პროცესი მიდის, რომ ფერმერები კოოპერატივების სახით ერთიანდებიან და ცენტრალიზებული წესით ქმნიან მომარაგების, სერვისის, გასაღების სამსახურებს, რათა თვითონ ძირითადად წარმოებაში იყვნენ დასაქმებული, ჩვენთან კი ქაოსური ვითარება შეიქმნა. მიწები განაწილდა და გლეხობა ჩიხში მოექცა. ვინ მომარაგებს, ვინ გადაწყვეტს სერვისის საქმეს, როგორ და სად გაყიდის პროდუქციას? გლეხისთვის ეს კითხვები ამოუხსნელი რჩება. საჭიროა დიდი ხელშეწყობა აგრარულ სფეროში დასაქმებული ხალხისათვის.

ეკონომიკა რომ კრიზისიდან გამოვიყვანოთ, გამართლებული და დიდად სასარგებლო იქნება უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ერთობლივი საწარმოების შექმნა. ამ მიმართულებით ხელი უნდა შევუწყოთ მეწარმეებსა და ბიზნესმენებს. არ უნდა შევზღუდოთ ისინი, რათა დაამყარონ საქმიანი კავშირები უცხოელ პარტნიორებთან.

ასე რომ, ეკონომიკის ხსნა ჩვენს ხელთაა: ვიაზროვნოთ და პრობლემები ახლებურად გადავწყვიტოთ. მივყვეთ ეკონომიკას, როგორც თავისუფალ და კვლავწარმოებით სივრცეს, მოვაშოროთ ყოველგვარი ბარიერი, და მალე ფეხზე დადგება, წელშიც გაიმართება.

**ომარ კეშელაშვილი,**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

# არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

## გაუგებრობა რომ ავიცილოთ

### საკონსულტაციო ჯგუფი უპასუხებს მკითხველთა შეკითხვებს

— **ვცხოვრობ** ქალაქ ჭიათურაში. შვიდი წელია, რაც სოფელ ხრეითის საუბნო საავადმყოფოში ექიმად ვმუშაობ. მაქვს 2000 კვადრატული მეტრი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. როგორც მოსამსახურე მივეკუთვნებოდი მეორე კატეგორიას და ჩემთვის დამატებით 3000 კვადრატული მეტრი უნდა მოეცათ.

1993 წლის პირველი თებერვლიდან აგვისტომდე ვიყავი აფხაზეთში. აქ დაჭრილ მეომრებს საველე მდგომარეობაში ვუწევდი პირველად კვალიფიციურ ქირურგიულ დახმარებას. ჩემი შვილი, სოლომონ ლოლაძე იყო მებრძოლი სანინსტრუქტორი. იგი იბრძოდა წინა ხაზზე. სოლომონი სოფელ ხრეითში ცალკე კომლად ირიცხება. მას მიწის ნაკვეთი სრულებით არ გააჩნია. ამ სოფელში ჩემს ბაბუას, სამსონ ლოლაძეს ნაყიდი ჰქონდა 14 ჰექტრამდე სახნავ-სათესი მიწა და ტყე (თამასუქები ინახება ოჯახში), რომლებიც მან კოლექტივიზაციის დროს, ნებაყოფლობით, საერთო-სახალხო საკუთრებად გამოაცხადა. ამასთან კოლმეურნეობაში შეიყვანა რვა უღელი ხარი, 6 ძროხა, 2 ცხენი და სხვა წვრილფეხა საქონელი. ბაბუა გახდა კოლმეურნეობის წევრი, სადაც სიკვდილამდე მუშაობდა.

ამჟამად აღნიშნულ სოფელში და საერთოდ მიწის ნაკვეთები აქვთ იმათ, ვისაც სოფლისათვის არ უზრუნია და არც ხალხის კეთილდღეობისათვის გაუკეთებია რამე. სწორედ ამათ დღეს აქვთ სხვებზე მეტი მიწა, რადგან მათ ათასნაირ მაქინაციებს მიმართეს, სიხარბემ სძლიათ და მეუღლეები ერთმანეთს ფიქტიურად გაეყარნენ, ბევრმაც საძოვრები თუ სახნავ-სათესი თვითნებურად დაიკავა. ზოგან გზებიც კი შემოღობეს. და ახლა ზოგიერთს 2,25 ჰექტარი მიწა აქვს. მე და ჩემს შვილს სოლომონ ლოლაძეს კი (სხვაც მყავს ვაჟი) 2000 კვადრატულ მეტრზე მეტი არ გაგვაჩნია. თუმცა ომში წასვლის წინ ჰქონდა შეტანილი განცხადება სოფელ ხრეითის საპრივატიზაციო კომისიაში, მაგრამ ყურადღება მაინც არ მომაქციეს. ამიტომ გეკითხებით, თუ ბაბუამ ნებით თუ უნებლიედ საკუთარი ოფლით შეძენილი 14 ჰექტარი მიწა კოლმეურნეობას უბოძა (აღარაფერს ვამბობ მოძრავ ქონებაზე), ნუთუ მის შვილსა და შვილიშვილს არ უნდა ჰქონდეს მიწის ფართობი საკმარისი რაოდენობით? გულსატკენი მაინც უფრო ის არის, რომ ბაბუასეული მიწები, რომლებიც ჩვენს საკარმიდამოს ესაზღვრება, სხვა სოფლიდან მოსულებზე გასცეს და ახლა ისინი დაგვცინიან და წამოგვაძახებენ ხოლმე — ომში წასვლას ვინ გეკითხებოდათ, ჩვენ როდის დაგაძალეთო, თუ იომეთ, რა გააკეთეთო. (?!) სად არის სამართალი? ბაბუას მიწას დაეპატრონენ, როგორც ესურვებათ, ისე პარპაშობენ, თან მის შვილსა და შვილიშვილებს დასცინიან! დაგვცინიან ისინი, ვინც საბჭოთა ჯარში ნამსახური თავიანთი შვილები გადამალეს და ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ ისინი აფხაზეთის დამცველთა რიგებში არ ყოფილიყვნენ...

მე და ჩემი შვილი ხომ იმ მიწის დასაცავად ვიბრძოდით, რომელსაც ახლა განუკითხავად ანაწილებენ? გვითხარით, რომელი კატეგორიით უნ[illegible]ხდეს ჩემი და ჩემი შვილის დაკმაყოფილება? მუხლმოდრეკით ვთხოვთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას", რომ გულისხმიერად მოეკიდოს ჩვენს შეკითხვას... — **თეიმურაზ ლოლაძე,** ჭიათურა.

**● მიწის რეფორმის მიმდინარეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, მიწის მიმღებ მოქალაქეთა კატეგორიები დადგენილია მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და გათვალისწინებული არ არის მებრძოლებისათვის (სამხედრო პირთათვის) მიწების მაქსიმალური ნორმით გაცემა.**

**მომავალში, მიწათსარგებლობის შესახებ კანონპროექტის განხილვისას ეს საკითხი შეიძლება გახდეს მსჯელობის საგანი.**

**კომენტარი:** დარწმუნებული ვართ, ასეთი პასუხით, მარტო თეიმურაზ ლოლაძე კი არა, სხვებიც არ იქნებიან კმაყოფილი.— თავზევით ძალა არ არისო, — სწორედ ამაზეა ნათქვამი. რა ქნას საკონსულტაციო ჯგუფმა? ბატონ თეიმურაზს ისეთი პასუხი გასცა, რის საშუალებაც კანონმა მისცა. ის კი მაინც დასძინა, რომ მომავალში, მიწათსარგებლობის შესახებ კანონპროექტის განხილვის დროს ეს საკითხი შეიძლება მსჯელობის საგანი გახდესო.

შეიძლება კი არა, სწორედაც რომ, უნდა გახდეს. თანაც სამომავლოდ კი არა — დღესვე, რადგან საკითხის განხილვის [illegible]ნება საქართველოს დამცველ[illegible] დიდ მზრუნველობაზე არ მეტყველებს. ჩვენი აზრით, მიწა მისია, ვინც მას იცავს ფრონტზე და ზურგში. და არა იმათი, ვინც ყველაფერს კადრულობს იმისათვის, რომ თავი აარიდოს სამშობლოს დაცვას... ამდენად, მიწის რეფორმის დროს პიროვნებაც უნდა ვიკითხოთ. თორემ სახალხოა, რომ მიწის რეფორმის დაწყებამდე ფიზიკურ შრომაში ბევრი არ მონაწილეობდა, რადგან მათ ყველა ჯიბეში სამედიცინო კომისიის დასკვნა ედოთ, მაგრამ როგორც კი მიწის პრივატიზაცია დაიწყო, ყველა გაჯანმრთელდა, რეფორმის კომისიას კინაღამ თავ-პირი მოაჭამეს, არიქა პირველად ჩვენ მოგვიზომეთ მიწა და მერე ქალაქელებსო...

კინაღამ გადავუხვიეთ, იმის თქმა გვინდა, რომ ბატონი თეიმურაზისთანა დღეს ბევრია, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ შეიძლება კიდევ გამრავლდეს... ამიტომ რედაქცია სთხოვს კანონმდებლებს: — ბატონებო! ძალიან კარგს გააკეთებთ, თუ დროულად მიიღებთ ისეთ კანონს, რომ ბატონი თეიმურაზ ლოლაძე და მისთანები მიწის ნაკვეთით პირველი კატეგორიით დაკმაყოფილდნენ. ეს უპირველეს ყოვლისა საქართველოს, მის მომავალს სჭირდება და კიდევ იმას, რომ აფხაზეთის ომის მონაწილეებს შემდგომში არავინ წამოაძახოს, არავინ უთხრათ:

— ვინ გეკითხებოდათ ომში წასვლასო,

— მე როდის დაგაძალეთ

— რა გააკეთე თუ იომე სხვა...

სხვათა შორის არც დიდი სამამულო ომის მონაწილეებია და სავიწყებელი და ნურც ოჯახებს დავივიწყებთ, ვინც დაბრუნდა სამამულო და აფხაზეთის ჯოჯოხეთიდან...

●

— **მუდმივად** ვცხოვრობ ქალაქ თბილისში. ახლა ვიმყოფ ხარაგაულის რაიონის სოფ ჯაფარეულში. მამიდამ ანდე დამიტოვა თავისი მოძრავი უძრავი ქონება — სახლი და 15 კვადრატული მეტრი მიწის ნ ვეთი. 1000 კვადრატული მე კოლმეურნეობამ ჩამოართ რომელსაც ჩემი მეზობელი შავებდა. კოლმეურნეობის მების შემდეგ ამ მამა-პაპ ნაკვეთს მეზობელი მე გთხოვთ მიპასუხოთ, როგორ ქალაქში მაცხოვრებელს, რამ ნი კვადრატული მეტრი მეკუთვნის? — **თეიმურაზ კაი ძე,** ხარაგაული.

— **მიწის რეფორმის შე მოქმედი დადგენილების მი ვით, ქალაქად მცხოვრებ ლაქეს სოფლად შეიძლება ნდეს 0,25 ჰექტრამდე მიწის კვეთი. ამასთან, კონკრეტ ნორმა დგინდება სოფლის ლობრივი პირობების გათვა წინებით.**

## მხოლოდ შრომა გადაგვარჩენს

# აღვადგინოთ მომთაბარე მეცხოველეობა!

**აფხაზეთი ნებისმიერი ქართველის სატკივარია, მაგრამ რა გასაკვირია, რომ მე, სოხუმელი ლტოლვილი, ამჟამად თბილისს თავშეფარებული, და ჩემი ბედის მოზიარენი განსაკუთრებული ტკივილით განვიცდით საქართველოს ამ უმშვენიერესი კუთხის დროებით დაკარგვას.**

**მე არ შევუდგები ამ გამაოგნებელ-თავზარდამცემი დამარცხების მიზეზების კვლევას — დრო ყველასა და ყველაფერს წარმოაჩენს და თავისას მიუზღავს. ამჟამად მინდა, როგორც ზოოტექნიკოსმა, გამოვთქვა კონკრეტული მოსაზრება იმ უსამართლოდ მივიწყებული ერთი რეზერვის შესახებ, სოფლის მეურნეობაში რომ გვაქვს, და რომლის ამოქმედებაც უთუოდ დაგვეხმარება კვების პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებაში.**

საწყენად ნურავის დარჩება და, დავიბნეით, აღარ ვიცით ვის მივბაძოთ. ხან რომელ სახელმწიფოს ვასახელებთ ნიმუშად, და ხან — რომელს. მართლაც ბევრი რამ შეგვიძლია სხვა ქვეყნებიდან (შვეიცარია, ისრაელი) ვისწავლოთ, მაგრამ უცხო ქვეყნის სახალხო მეურნეობის მოდელის სრული გადმოტანა არ გამოგვადგება. ჩვენ მათგან უნდა ვისწავლოთ ეკონომიკის მართვა, შრომის კულტურა და უფრო მაღალი დონით აღვადგინოთ ჩვენი წინაპრების ტრადიციები, აბორიგენული სასოფლო-სამეურნეო კულტურები და პირუტყვის ჯიშები.

აღმოსავლეთ საქართველოში დიდი პრიორიტეტი ჰქონდა თუშურ ცხვარსა და თუშ მეცხვარეს. დასავლეთ საქართველოში კი მეგრელ მეჯოგეს, წითელ მეგრულ ნახირსა და მეგრულ თხას. არც არის გასაკვირი, რადგან მომთაბარე მეცხოველეობა ქართველი ერის ისტორიული თანამგზავრია. აბორიგენული ჯიშები, მათი მოვლა-შენახვის წესები საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა და ყალიბდებოდა. ღვთის წყალობით, თუშური ცხვარი კიდევ შემოგვრჩა. მეგრული ნახირი კი 1938 წელს მოსპეს იმ მოტივით, რომ დასავლეთ საქართველო სუბტროპიკული კულტურების მხარეა და არა მეცხოველეობისო. ეს უნიკალური, კომბინირებული ჯიში, წითელი მეგრული საქონელი, განადგურდა, კერძო სარგებლობაში დარჩენილი კი დაკნინდა. მთის მდიდარი საძოვრები დაცარიელდა, სარეველა ბალახებითა და ბუჩქნარებით იფარება. რთულია, მაგრამ აუცილებელია მომთაბარე მეცხოველეობის აღდგენა, რათა ეს უდიდესი სიმდიდრე ადამიანის სამსახურში ჩადგეს.

რაც შეეხება მეგრულ თხას, იგი ორი მიმართულებისაა: — მომთაბარე და ბარის მერძეული. ამ უკანასკნელს, როგორც ადრე მწირადს და ყველასათვის ხელმისაწვდომს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. აღარაფერს ვამბობთ მის რძეზე, რომელიც დედის რძის ტოლფასია. ამდენად სპეციალისტების მოვალეობაა პირველ ყოვლისა შეისწავლონ კადრები, თუ ვის აქვს სურვილი ხელი მოჰკიდოს მომთაბარე და სტაციონარულ მეცხოველეობას, რა საშუალებები აქვს და რა დახმარებას ითხოვს ამისთვის. ამავე დროს, უნდა აღირიცხოს მიწის რესურსები: მთის, ტყისა და ბარის საძოვრები, მიწის სავარგულები და მეცხოველეობას უნდა გადავცეთ მუდმივ სარგებლობაში. რა თქმა უნდა, მთავრობამ თავისი წარმომადგენლების მეშვეობით სისტემატურად უნდა აკონტროლოს, რამდენად სწორად იყენებენ მეცხოველეები მიწის ფართობს და იცავენ ეკოლოგიურ სიწმინდეს. ამავე დროს, მთავრობა უფლებამოსილი უნდა იყოს მიწათსარგებლობის უხეშ დამრღვევს ჩამოართვას მიწის ფართობი. თუ ის, სხვადასხვა მოსაზრებების გამო, ამას არ გააკეთებს, მაშინ უნდა შეიქმნას მეჯოგეთა კავშირი სპეციალისტთა მცირე საშტატო ერთეულით, რომელიც თავიდან ბოლომდე დაარეგულირებს მეცხოველეობის პრობლემებს.

კიდევ ერთი საკითხი: ცნობილია, როგორ ჭირს ტექნიკა, საწვავ-საცხები მასალები. ცოცხალი გამწევი ძალა — ცხენი თუ ხარი კი თითქმის აღარ შემოგვრჩა. არადა, მთაგორიანი სოფლების, პატარ-პატარა ნაკვეთების ცოცხალი ძალით დამუშავება უფრო მოსახერხებელია, ვიდრე ტრაქტორით. იგი საჭიროზე მეტი სიღრმით ხნავს ფერდობებს, გარდიგარდმო ხვნა არ შეუძლია, ამიტომ ირეცხება ნოყიერი ფენა და ჩნდება ეროზია. გლეხს საკუთარი ხარი რომ ეყოლება, სხვის მოლოდინში არ იქნება. ხარი შეასრულებს მთელ რიგ სამუშაოს, დაიზოგება დიდი რაოდენობით საწვავი და შემცირდება პროდუქციის თვითღირებულება. ხარების გამოზრდა ხორცის წარმოების გადიდებასაც შეუწყობს ხელს.

სხვა საჭირო ინვენტართან ერთად მომთაბარე მეცხოველეები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ წალენჯიხური „ჭვარული ნაბდებით", რომლებიც თითქმის წყალგაუმტარია და წვიმაში არ მძიმდება...

ზემოაღნიშნულ საკითხზე შეიძლება ამომწურავად ვერ ვისაუბრე, მაგრამ ერთ პატარა საგაზეთო მასალაში ყველაფერს ვერც შეეხები. იმედია, სხვებიც გამოთქვამენ აზრს ამის თაობაზე და, რაც მთავარია, ვინც ჯერ არს, პრაქტიკულად იზრუნებს კიდეც საქმის ადგილიდან დაძვრისათვის.

**ვალერიან არონია,**
აფხაზეთის დამსახურებული ზოოტექნიკოსი, ომისა და შრომის ვეტერანი.

# ამ ტრიალ ქვეყანაზე

## დაახლოებით 1,2 მილიარდი დოლარი მართებს

**შეერთებული** შტატები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კვლავაც უდიდესი მოვალეა და მისი დავალიანება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მაისის დამდეგიდან უკანასკნელ ხანს რეკორდულ დონეს — 1,2 მილიარდ დოლარს აღწევს. ამას მოწმობს აქ ორშაბათს გავრცელებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ცნობა.

ამერიკის დავალიანების 1,2 მილიარდი დოლარი საერთო თანხიდან 531 მილიონი მოდის რეგულარულ ბიუჯეტში გადაუხდელ შენატანებსა და 652 მილიონი დოლარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ოპერაციათა ბიუჯეტში გადაუხდელ შენატანებზე.

ცდილობს რა შეამსუბუქოს ფინანსური პასუხისმგებლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა 4 მაისს გამოსცა ეგრეთ წოდებული „დირექტივა-25“, რომელშიც დაადგინა 1996 წლის 1 იანვრისათვის ამერიკის შეერთებული შტატების წილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ხარჯებში შემცირდეს 31,7 პროცენტიდან 25 პროცენტამდე.

## უზბეკეთის პრეზიდენტი ტოკიოს ეწვევა

**იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დღეს ოფიციალურად დაადასტურა, რომ უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ კარიმოვი ტოკიოს 16-19 მაისს ეწვევა. უფრო ადრე, ეს ტაშკენტში გამოაცხადეს.**

აქ გავრცელებულ საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობაში ნათქვამია, რომ ისლამ კარიმოვი იაპონიაში თავისი პირველი ვიზიტის დროს მოლაპარაკებებს აწარმოებს პრემიერ-მინისტრთან ცუტომუ ჰატასთან. მას მიიღებს აგრეთვე იმპერატორი აკიჰიტო.

უზბეკეთის პრეზიდენტს მოგზაურობაში გაჰყვებიან პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი. **წინათ ტოკიოს ოფიციალურ ვიზიტად უკვე იწვევნენ ყირგიზეთის პრეზიდენტი ასკარ აკაევი და ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი.**

## ეროვნულ პარკში ხანძარი გაჩნდა

**ხანძარი, რომელიც კვირას პატარა სატვირთო ავტომანქანის ძრავის აალების შედეგად გაჩნდა, დღეს ამერიკის არიზონის შტატის საზაროსის ეროვნული პარკის დაახლოებით 600 ჰექტარს მოედო.** ცეცხლის გავრცელება ახლა შეჩერდა, მაგრამ ჯერჯერობით მეხანძრენი ვერ ახერხებენ კონტროლს დაუქვემდებარონ სიტუაცია.

ცეცხლის გავრცელებას ხელი შეუწყო ძლიერმა ქარმა, რომელიც ორშაბათს თანდათანობით შეწყდა. პარკის წარმომადგენლებს ჯერჯერობით არ შეუძლიათ თქვან, თუ რა ზიანი მოუვიდა ადგილობრივ ფლორასა და ფაუნას.

## ომი უახლოეს ხანს დამთავრდება

**ყარაბაღის** ომი უახლოეს ხანში უნდა დამთავრდეს. ეს აზრი გამოთქვა სომხეთის პრეზიდენტთან საგანგებო დავალებათა ელჩმა დავით შახნაზარიანმა, რომელიც აგრეთვე რესპუბლიკის უშიშროების უწყების ხელმძღვანელის მოვალეობას ასრულებს.

ინტერვიუ

# აღორძინება

**დიდი** ხანია, გაზეთი თვალს ადევნებდა ფართომასშტაბიან გამოკვლევებს, რომლებსაც ერთობლივად ეწევიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტის კულტურულ მცენარეთა გენოფონდის შემსწავლელი ჯგუფი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის რუსუდან ბერიძის ხელმძღვანელობით, და გერმანიის მცენარეული გენეტიკური რესურსების კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერები და სპეციალისტები.

ქართველ და გერმანელ მკვლევართა ექსპედიციები ათი წლის მანძილზე მისხალ-მისხალ აგროვებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობაში შემორჩენილ კულტურულ მცენარეთა ჯიშების თესლს. ეს მასალა კი ძნელად მოსაპოვებელი იყო, ვინაიდან ქართული აბორიგენული ჯიშები დღეს თითქმის მთლიანად განდევნილია ჩვენი მეურნეობიდან და შეცვლილია უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი ჯიშებით, რომლებიც ნაკლებად ეგუება ჩვენს ადგილობრივ პირობებს და ამიტომ დაბალი მწარმოებლობისა და ნაკლები კვებითი ღირებულებისაა.

ხაველე ექსპედიციები, მინდვრის ექსპერიმენტები, კამერული კვლევები ჩვენშიც და გერმანიაშიც წარმატებით დაგვირგვინდა — შეიქმნა ქართული აბორიგენული მინდვრის კულტურების უნიკალური ცოცხალი გენოფონდი, რომელმაც მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო. ამ საკითხს მიეძღვნა მრავალი პუბლიკაცია უცხოეთის სამეცნიერო ლიტერატურაში. საქართველო ჩაერთო გლობალურ პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებს მსოფლიოში ადამიანისათვის უმნიშვნელოვანეს კულტურულ მცენარეთა გამოვლინებას, შეკრებასა და დაცვას. 1991 წელს დასავლეთ ბერლინში გამართულ სიმპოზიუმზე ჩვენი ქვეყანა, მისი გენოფონდი, აღიარეს როგორც განსაკუთრებული, უნიკალური. „საქართველოში მოპოვებული გენეტიკური რესურსების შეფასება შეუძლებელიაო, — აღნიშნა იქ პროფესორმა ჰანელტმა.



**— რაშია ამ გენოფონდის განსაკუთრებულობა? — ვეკითხებით ქალბატონ რუსუდან ბერიძეს.**

— ამ კითხვაზე პასუხს სახელგანთქმული მეცნიერის ნ. ვავილოვის ნაშრომის ერთი აბზაცით გაგცემთ: „საქართველოს კულტურულ მცენარეთა შექმნას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს და მჭიდროდ უკავშირდება ქართველი ხალხის სამეურნეო მოღვაწეობას. ამ უნიკალურმა მხარემ შეინარჩუნა და დღემდე შემოგვინახა აბორიგენულ მკვიდრთა კულტურების ისეთი ნიმუშები, რამაც იგი პირველად სახეთა წარმოქმნის მნიშვნელოვან და საინტერესო მხარედ აქცია“.

**— რამდენადაც ვიცი, აკადემიკოსმა ნიკოლოზ ვავილოვმა ჩაუყარა საფუძველი გენეტიკური რესურსების კვლევის ამ ახალ მიმართულებას.**

— დიახ, მან პირველმა განჭვრიტა მცენარეთა გენური სიმდიდრის მოპოვების, დაცვისა და გამოყენების უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა. ვავილოვი დედამიწის ხუთივე კონტინენტის გენოფონდს შეისწავლიდა და საგულისხმო, იცით რა არის? — თავისი ექსპედიციები მან საქართველოდან, კერძოდ, ზემო სვანეთიდან დაიწყო.

**— ჭეშმარიტად ტრაგიკული პარადოქსია: კაცი, რომელსაც ცხოვრების მიზნად დასახული ჰქონდა კაცობრიობა შიმშილისაგან ეხსნა, თვითონ შიმშილით დაიღუპა ლუბიანკის ჯურღმულებში.**

— ტრაგიკულია მისი ტიტანური ნაღვაწის ბედიც. მოსპეს და გაანადგურეს მის მიერ შექმნილი მრავალი ქვეყნის, მათ შორის — საქართველოს მინდვრის კულტურების გენოფონდი. სანქტ-პეტერბურგის მემცენარეობის ინსტიტუტი ახლა ჩვენ გვთხოვს ამ მასალის მიწოდებას. ერთიც უნდა აღინიშნოს: ვავილოვი, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი, არასოდეს უკარგავდა წარმომავლობას სხვა ქვეყანაში მოპოვებულ მასალას. სამწუხაროა, ხშირად ასე არ იქცევიან მისი მემკვიდრეები, ზოგი მათგანი ისე მალულად ჩამოდის ჩვენს ქვეყანაში, და მოსახლეობაში აგროვებს იშვიათ სათესლე მასალას, რომ ჩვენ ამის თაობაზე არაფერი ვიცით. მიზანი? — დაუკარგონ მას ქართული წარმოშობა და მსოფლიო ასპარეზზე თავიანთი სახელით გაიტანონ. სამწუხაროდ, ამას მხოლოდ უცხო ტომის ხალხი არ სჩადის...

**— ვინ ითვლება დღეს მსოფლიოში აკადემიკოს ვავილოვის შემოქმედებითი ტენდენციების გამგრძელებლად?**

— ვავილოვის გამოკვლევების გაგრძელებას წარმოადგენს ჩვენი გერმანელი პარტნიორების ფუნდამენტური კვლევები. პროფესორი პეტერ ჰანელტი კი ამ სფეროში უდიდესი ავტორიტეტია. ამ ინსტიტუტის კოლექტივმა დიდი ღვაწლი დასდო ქართული გენოფონდის შექმნისა და სრული გარანტიით დაცვის საქმეს. მხოლოდ მათი დახმარებით შეიძლებოდა დღეს ამ უდიდესი, მართლაც საშვილიშვილო საქმის შესრულება.

**— ამ მიმართულების კვლევები ადრე საქართველოშიც ხომ სრულდებოდა?**

— დიახ, ეს გამოკვლევები 30-იანი წლებიდან დაიწყო, მაგრამ ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. მთავარი ის გახლავთ, რომ ქართველმა მეცნიერებმა: აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა, აკადემიკოსმა ვ. მენაბდემ, მკვლევარებმა ა. კობახიძემ, ლ. გიორგაძემ შექმნეს საქართველოს კულტურულ მცენარეთა მრავალი წარმომადგენლის მდიდარი კოლექციები, რომლებიც მათმა მოწაფეებმა (ვ. კანდელაკი, თ. გირგვლიანი, ნ. საყვარელიძე) დღემდე დაიცვეს და დღეს წარმატებით შეისწავლიან. ამ გენოფონდის უპირატესობა მისი ხანდაზმულობა და დიდი მრავალფეროვნებაა.

**— ახლა, მოდით ისევ ერთობლივ გენოფონდს დავუბრუნდეთ. არის თუ არა იგი ისეთ მდგომარეობაში, რომ უკვე ჩადგეს ქვეყნის სამსახურში?**

— საამისო მუშაობა დაწყებულია. 1991 წლიდან სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის“ ბაზაზე დაიწყო გენოფონდში დაცული პერსპექტიული ჯიშების გამრავლება, ფართომასშტაბიანი რეპროდუცირება კი საწარმოო გაერთიანება „მეთესლეობის“ მეურნეობებში გაგრძელდება.

**— მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ, ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ერთ პუბლიკაციაში, რომელიც თქვენი ერთობლივი ექსპედიციის მუშაობას ეძღვნებოდა, აღწერილი იყო, როგორ ხთხოვდა პროფესორი ჰანელტი (თემატიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გერმანელთა მხრიდან) ჩვენს გლეხებს: გადმოგვეცით თქვენი მამაპაპიდან გადმოცემული ჯიშების სათესლე მასალა, შევისწავლით და გაუმჯობესებულს დაგიბრუნებთო. შეუსრულეს მათ ეს დაპირება?**

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბევრს შევუსრულეთ. იცით, ჩვენ თვითონ ვართ დაინტერესებული, რომ დანერგვის საქმეში ჩავრთოთ კერძო მეურნე, გლეხი, რომელიც ჩვენზე უკეთ იცნობს მამა-პაპურ ტრადიციებს. ასე რომ, ჩვენს გენოფონდში დაცული ზოგიერთი ჯიში კერძო მეურნის ნაკვეთებზეც ითესება კახეთში, რაჭაში, იმერეთში, სამეგრელოში, ზემო სვანეთში... მაგალითად, კახეთის ერთ-ერთ სოფელში ბატონ გიორგი თევდორაშვილს სიმინდის ოცი სხვადასხვა ნიმუში გადავეცით. მან გვაცნობა, რომ ყველა ეს ჯიში უხვმოსავლიანი გამოდგა. ზოგიერთ სიმინდს ღეროზე 4-5 ტარო ჰქონდა გამოტანილი. მარცვალიც მაღალხარისხოვანია. მთავარი კი ის არის, რომ სიმინდის ეს ფორმები ყველა საადრეოა: მოსავალი სამ თვეში შემოდის (სიმინდის ვეგეტაციის დასრულებას კი, ჩვეულებრივ, გაცილებით მეტი დრო სჭირდება). ამგვარად, არის შესაძლებელი მეორე მოსავალი მივიღოთ.

— თქვენი გენოფონდის მასალის ერთი დიდი სიკეთე ისიც არის, რომ მეტად გაიოლებულია მისი დანერგვა. ექსპერიმენტი, ჯიშთა გამოცდის მრავალი სტადიის გავლა მას აღარ სჭირდება — იგი უმოკლეს დროში ინერგება იმავე რაიონში, საიდანაც არის აღებული.

— სხვათა შორის, ამ სათესლე მასალას გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებშიც ჰყავს მომხმარებელი. ჩვენი პარტნიორი ინსტიტუტი სპეციალურ ბუკლეტებს და სხვა საცნობარო ლიტერატურას აქვეყნებს მისი პროპაგანდის მიზნით.

**— ჩვენთან, საქართველოში თუ იჩენენ დაინტერესებას თქვენი მუშაობის შედეგებით?**

— როგორ არა. მაგალითად, ათეროსკლეროზის საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს ფილიალიდან (პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. ყიფშიძე) მივიღეთ შეკვეთა ამ დაავადების სამკურნალოდ მაღალხარისხოვანი სიმინდის ზეთის შემცველი ქართული ფორმების შესარჩევად.

გარდა ამისა, ჩვენ უკვე გადავეცით გასავრცელებლად ხორბლის, სოიისა და ქერის საუკეთესო ფორმები, რომელთაგან საკვებწარმოებაში ცილების პრობლემის გადასაწყვეტად განსაკუთრებული მნიშვნელობა სოიას ეკუთვნის. მზად ვართ მივაწოდოთ გაერთიანება „თავთავს“ ჩვენს გენოფონდში დაცული და კარგად შესწავლილი სოიის უძველესი ქართული ფორმები.

მოგახსენებთ, რომ ჩვენებური ხორბალი მხოლოდ პურის წარმოებაშია გამოყენებული და მას არ ხმარობენ მაკარონის, ვერმიშელისა თუ სხვა ბურღულეულის საწარმოებლად. ან, თუ იყენებენ, ნაწარმი უვარგისი გამოდის, რადგან, ამას სჭირდება მაგარი ხორბლის ჯიშები, რომლებიც დღეს საქართველოში უკვე აღარ მოგვყავს. ჩვენს გენოფონდში კი დაცულია მაგარი ხორბლის უამრავი, მრავალფეროვანი ჯიში თუ ფორმა და მათი გამოყენება ამ საქმეს უშველის.

ძალზე პერსპექტიულად მეჩვენება გამოკვლევების გაგრძელება გენოფონდში დაცულ ერთწლოვან, სალებავ, სამკურნალწამლო მცენარეთა ჯგუფებზეც.

გადაწყვეტილი გვაქვს, გერმანელ კოლეგებთან ერთად შევარჩიოთ პარტნიორები, რომლებიც თავის წილს ჩადებენ და ხელსაყრელი ანაზღაურებით — ტექნიკური აღჭურვილობის და ჩვენი სამუშაო ძალის გამოყენებით, მომგებიანი პროდუქციის წარმოებას შეძლებენ.

ამავე დროს, კოლექტიური მონოგრაფიის სახით, მზადდება გამოსაქვეყნებლად ერთობლივი კვლევის შედეგები, რომელიც ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს ახალგაზრდა მკვლევარებს.

**— ყოველ წამოწყებას, სამწუხაროდ, მტერი და მოშურნე მეტი გამოუჩნდება ხოლმე, ვიდრე კეთილმოსურნე და მხარში ამომდგომი. ვინ მოსთვლის, რამდენ მეცნიერსა თუ გამომგონებელს უვლია გოლგოთის გზით, ვიდრე თავისი იდეის აღიარებას მიაღწევდა. გამონაკლისი, ალბათ, არც თქვენ ბრძანდებით?**

— ჩვენც დიდი დაბრკოლებების გადალახვა მოგვიხდა, თუმცა, მხარდამჭერებიც გვყავდნენ (ოღონდ არა ჩვენი ბოტანიკის ინსტიტუტის დირექციაში!). ჩვენს ხელმძღვანელობას არასგზით არ სურდა გაეგო დიდი ეროვნული საქმის მნიშვნელობა. ჩემთვის დღესაც გაუგებარია, რატომ მოინდომა ინსტიტუტის დირექციამ შეეწყვიტილიყო ჩვენი და გერმანელი კოლეგების ერთობლივი სამუშაოები! განა შეიძლება უარყო თანამშრომლობა მსოფლიოში ცნობილ ინსტიტუტთან, რომელმაც შეგვაქმნევინა უნიკალური გენოფონდი, შემდეგ ეს მასალა საკუთარ გენბანკში შეგვინახა, ვიდრე ჩვენ საქართველოში საშუალება მოგვეცემა, მისი გადმოტანისა და შენახვისა; გვეხმარება კონსულტაციებით, გვპირდება, რომ მოგვიმზადებს სპეციალისტებს თესლსაცავის მომსახურებისთვის, პრაქტიკული საქმიანობის გასაგრძელებლად.

გერმანელ მეცნიერებთან ერთობლივად შექმნილ გენოფონდში დაცულია ყველა ზემოაღნიშნულ კულტურათა ისეთი მასალა, რომელსაც, საქართველო ფეხდაფეხ რომ შემოიარო, ვერსად წააწყდებით. ის ათი წლის განმავლობაში მისხალმისხალ შევაგროვეთ ჩვენს მოსახლეობაში. ექსპედიციის შესრულების შემდეგ კი საქართველოს თავზე მრავალმა ქარტეხილმა გადაიარა, ეს მასალა გაქრობას გადავარჩინეთ. განა სათაკილოა ის, რის გაკეთებაც ჩვენ ვერ შევძელით, გერმანელი კოლეგების დახმარებით გავაკეთოთ. მთავარი ის არის, რომ მინდვრის კულტურების ქართული, სრული გენოფონდი შექმნილია და მას მიხედვა სჭირდება. ის ხომ ქართველი ხალხის საკუთრებაა — ყველასია, ვინც მას გონივრულად გამოიყენებს. მთავარი ის არ არის, რომ მინდვრის კულტურების ქართული სრული გენოფონდი შექმნილია და მას მიხედვა სჭირდება?

**— იქნებ, თქვენს მხარდამჭერებზეც გვითხრათ ორიოდე სიტყვა?**

— ამას, ცხადია, უფრო დიდი სიამოვნებით გავაკეთებ. გენოფონდის მოპოვების, შენახვის, მისი სოფლის მეურნეობაში დანერგვისა და ყოველივე ამის დაფინანსების საქმეში დიდ დახმარებას გვიწევენ მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მინისტრი ლ. ჯაფარიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ა. ალექსიძე, გაერთიანება „თავთავის“ გენერალური დირექტორი ჯ. პატიაშვილი, მცხეთის სასელექციო სადგურის დირექტორი ა. იაკობაშვილი და მრავალი სხვა მეცნიერი თუ პრაქტიკოსი სოფლის მეურნე.

და, რაც მთავარია, ამ პრობლემით დიდად დაინტერესდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ბატონი ედუარდ შევარდნაძე. მისი განკარგულებით მინისტრთა კაბინეტში შესაფერისი დადგენილება მზადდება, რომლითაც გათვალისწინებულია საქართველო-გერმანიას შორის მეცნიერული და პრაქტიკული სამუშაოების შემდგომი გაგრძელება-გაფართოება, გენოფონდის მთლიანად ჩამოტანა საქართველოში და მისი მუდმივი დაცვა ეროვნულ გენბანკში. მისი შემდგომი გამოკვლევა (განსაკუთრებით — პალეოეთნობოტანიკური კვლევა. ამაში დიდად გვიწყობენ ხელს ჩვენი არქეოლოგები), ახალგაზრდა სპეციალისტთა ჩართვა დანერგვის საქმეში.

**— გენოფონდის ჩამოტანის შემდეგ თქვენი მთავარი საზრუნავი რა იქნება?**

— მასალის თანმიმდევრული გამრავლება და მისი თანდათანობითი აღდგენა-დანერგვა შესაბამის რაიონებში. დარწმუნებული ვარ, ამ გენოფონდის მაქსიმალურად გამოყენება ხელს შეუწყობს ჩვენი აგრარული დარგის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანას და ტრადიციული ქართული სოფლის აღორძინებას.

ესაუბრა
**ნანული გარათაშვილი.**

* * *

**სურათზე: ქ-ნი რუსუდან ბერიძე (მარცხნივ) მორიგი ექსპედიციის დროს.**

მეგობრობის მერიდიანები

# დედობილ-მამობილი ამერიკიდან

**შეუდარებელი** ქართული სტუმართმოყვარეობა გახლდათ ის საძირკველი, რასაც დაეფუძნა ამერიკელ ჯოუ მუხასა და თბილისელ სოსო კავსაძის ოჯახების მეგობრობა. ქველმოქმედება აღმოჩნდა ბატონ ჯოუს ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი და მისი დახმარებით სამი წლის მანძილზე ბევრ ქართველ ახალგაზრდას მიეცა ქალაქ ტრავერ-სიტიში სწავლის გაგრძელების საშუალება.

შარშან კი ბედმა გაუღიმა თბილისის 54-ე საშუალო სკოლის მოსწავლეს შოთა კავსაძეს და მცხეთელ ნათია იორდანიშვილს. ჯოუ მუხას ინიციატივით ტრავერ-სიტის როტარი-კლუბმა ისინი ქალაქის სკოლაში სასწავლებლად მიიწვია. ნენსი მუხამ შოთას სითბო და მზრუნველობა შეაგება, მშობლებთან, მეგობრებთან განშორების სევდა შეუმსუბუქა.

ახალი ოჯახური გარემო, ახალი თანაკლასელები, მასწავლებლები, სრულიად ახალი სასკოლო რეჟიმი და საგნები — ეს სიძნელეები ნენსი და ჯოუ მუხას თანადგომით დაძლეულია.

ამერიკელი დედობილ-მამობილის მიზანია კიდევ ერთი კარგი ქართველი ბავშვის ნიჭს მისცენ ფართო გზა, ხოლო შოთა კავსაძის ოცნებაა მათაც გაუმართლოს და დიდ ქვეყანაში მიღებული ცოდნა-გამოცდილება უახლოეს მომავალში თავისი ქვეყნის შენება-მშენებას მოახმაროს.

**მაკა ჭედია.**

# საგასტროლო რუკაზე პოლონეთი და დიდი ბრიტანეთი

**ტრადიციისამებრ** მაისის ბოლო კვირას პოლონეთის ქალაქ ტორუნში გაიმართება სცენური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „კონტაქტი“. ამ წარმომადგენლობით დათვალიერებაში პირველად მიიღებს მონაწილეობას თბილისის კინომსახიობის თეატრი. დასი ჟიურისა და მაყურებელთა სამსჯავროზე წარმოადგენს სპექტაკლს შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“ მიხეილ თუმანიშვილის დადგმით.

ფესტივალის შემდეგ ქართველი მსახიობები ვარშავაში გაემგზავრებიან, სადაც ადამ ჰანუშკევიჩის თეატრში რამდენჯერმე წარმოადგენენ ამავე სპექტაკლს.

და კიდევ ერთი ახალი წერტილი გამოჩნდება შემოქმედებითი კოლექტივის საგასტროლო რუკაზე. დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ნოემბერში გაიმართება ხელოვნების შექსპირის ფესტივალი. აქ მოწვეულია მსოფლიოს ექვსი განთქმული თეატრალური დასი. მათ შორის არის თბილისის კინომსახიობის თეატრი, ერთადერთი სცენური კოლექტივი ყოფილი სს[illegible]

# დემოკრატიული პარტიის წესდება

### I. ზოგადი დებულებები

1. 1. დემოკრატიული პარტია არის დემოკრატ მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც მოქმედებს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, კანონის და მოცემული წესდების საფუძველზე.

1. 2. დემოკრატიული პარტია არის იურიდიული პირი, აქვს მრგვალი და კუთხოვანი ბეჭედი, საანგარიშსწორებო ანგარიშები ბანკში.

### 2. საქმიანობის ძირითადი მიზნები

2. 1. დემოკრატიული პარტია საზოგადოების ყველა ფენის ინტერესების დამცველი და გამომხატველია, საარჩევნო ტიპის პარტიაა, რომელიც თავის მთავარ ამოცანად ისახავს დემოკრატიული, თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობას, საქართველოში ისეთი სამართლებრივი სისტემის შექმნას, რომელიც დაეფუძნება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, ჩვენი ქვეყნის ჩვეულებებსა და ტრადიციებს.

### 3. ორგანიზაციული სტრუქტურა

3. 1. დემოკრატიული პარტიის უზენაესი წარმომადგენლობითი ორგანოა ყრილობა.

3. 2. დემოკრატიული პარტიის ყრილობა ტარდება სამ წელიწადში ერთხელ. ეროვნული კომიტეტის წევრთა ორი მესამედის მოთხოვნით ტარდება რიგგარეშე ყრილობა.

3. 3. ყრილობა თვითონ განსაზღვრავს თავისი მუშაობის წესს, ხოლო მასზე დელეგირების წესს ადგენს პარტიის ეროვნული კომიტეტი.

3. 4. ყრილობა ამტკიცებს დემოკრატიული პარტიის საპრეზიდენტო საარჩევნო პროგრამას და ირჩევს პრეზიდენტობის კანდიდატს.

3. 5. ყრილობებს შორის პერიოდში პარტიას ხელმძღვანელობს მისი ეროვნული კომიტეტი, რომელიც შედგება რეგიონული ორგანიზაციების მიერ დელეგირებული წარმომადგენლებისაგან — ერთი რეგიონული ორგანიზაცია — ერთი წევრი, ხოლო ეროვნული კომიტეტის სხდომებს შორის თანათავმჯდომარეთა საბჭო. ეროვნული კომიტეტის შემადგენლობაში, დამსწრეთა 2/3-ის მხარდაჭერით შეიძლება შეყვანილი იყოს პარტიის წევრი, რომელსაც პარტიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს.

3. 6. ეროვნული კომიტეტი ახდენს პარტიის რეგიონული ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციას, უზრუნველყოფს საპარლამენტო ფრაქციასთან და ეროვნულ ხელისუფლებასთან კავშირს, ამტკიცებს რეგიონული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატების ერთიან სიას და მათ საარჩევნო პროგრამებს, ატარებს საარჩევნო კამპანიებს, წყვეტს დემოკრატიული პარტიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა სხვა საკითხს.

3. 7. ეროვნული კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს როგორც სათათბირო და წყვეტს საკითხებს ხმების უბრალო უმრავლესობით. თავის წევრთაგან იგი ირჩევს თავმჯდომარეს და თანათავმჯდომარეებს სამი წლის ვადით. ეროვნული კომიტეტი სხდომებს შორის პერიოდში პარტიის საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის ირჩევს დემოკრატიული პარტიის საკონსულტაციო საბჭოს, რომელსაც ხელმძღვანელობს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე.

3. 8. ეროვნულ კომიტეტს პარტიის პროგრამის საფუძველზე უფლება ეძლევა შექმნას პარტიული სტრუქტურები. ამასთან, იგი განსაზღვრავს მათ უფლებრივ მდგომარეობას.

3. 9. დემოკრატიული პარტია ორგანიზაციულად წარმოადგენს დემოკრატთა რეგიონული ორგანიზაციების ერთობლიობას. რეგიონული ორგანიზაციები იქმნებიან საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში, ეროვნულ კომიტეტთან წინასწარ შეთანხმებით. ჩამოყალიბების შემდეგ ეროვნული კომიტეტი ამტკიცებს რეგიონულ ორგანიზაციას და აძლევს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში რეგისტრაციის ნებართვას. დემოკრატიული პარტიის რეგიონული ორგანიზაციები შეიძლება შეიქმნას რესპუბლიკის გარეთაც.

3. 10. დემოკრატიული პარტიის რეგიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოა მათი კომიტეტები, რომლებსაც ირჩევენ ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებული დემოკრატები მათ მიერ დადგენილი წესით. რეგიონული ორგანიზაციის კომიტეტი ირჩევს მის თავმჯდომარეს, მოადგილესა და მდივანს.

3. 11. დემოკრატიული პარტიის რეგიონული კომიტეტები წარმართავენ მათ პარტიულ საქმიანობას, ატარებენ დემოკრატიული პარტიის საარჩევნო კამპანიებს ადგილებზე რესპუბლიკის ხელისუფლების ყველა დონის (საპრეზიდენტო, საპარლამენტო, მუნიციპალურ და სხვ.) არჩევნებში. რისთვისაც ქმნიან მხარდამჭერთა ჯგუფებს და განსაზღვრავენ მათ უფლებრივ სტრუქტურებს.

3. 12. დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილებით დასაშვებია სხვა დონის რეგიონული ორგანიზაციების შექმნაც.

### 4. პარტიის წევრობა

4. 1. დემოკრატიული პარტიის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც ამ დროისათვის შეუსრულდა 18 წელი და რომელიც აღიარებს პარტიის წესდებასა და პროგრამას.

წევრად მიღება ხდება რეგიონული ორგანიზაციის მიერ პირადი განცხადების საფუძველზე.

4. 2. დემოკრატიული პარტიის წევრი არ შეიძლება იყოს სხვა რომელიმე პარტიის წევრი. პარტიიდან გასვლა თავისუფალია.

4. 3. პარტიული და მოქალაქეობრივი მოვალეობების შეუსრულებლობისათვის პარტიის წევრის მიმართ შეიძლება გამოიყენონ პარტიული სასჯელები, გაფრთხილებით დაწყებული და პარტიის რიგებიდან გარიცხვის ჩათვლით.

### 5. პარტიის წევრების უფლება-მოვალეობანი

5. 1. პარტიის წევრებს თანაბარი უფლება-მოვალეობანი აქვთ.

5. 2. პარტიის წევრებს უფლება აქვთ ისარგებლონ დემოკრატიის ყველა უფლებით, წამოაყენონ ალტერნატიული საარჩევნო პლატფორმა რეგიონული კომიტეტების საშუალებით, რომლის განხილვა და კენჭისყრა სავალდებულოა ეროვნული კომიტეტის სხდომაზე.

5. 3. პარტიის წევრები ვალდებული არიან:

ა) დაიცვან პარტიის წესდება;

ბ) მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და პოპულარიზაცია გაუწიონ პარტიის პროგრამას და საარჩევნო პლატფორმას, მხარი დაუჭირონ არჩევნებში მონაწილე პარტიის მიერ წამოყენებულ კანდიდატებს;

გ) დაიცვან პარტიის სახელი და ღირსება ცილისმწამებლობის, შეურაცხყოფისა და დეზინფორმაციისაგან.

### 6. პარტიის პროგრამა

6. 1. დემოკრატიული პარტიის პროგრამა მოცემულ ეტაპზე არის მისი საარჩევნო პლატფორმა.

### 7. შემოსავლის წყაროები და მათი გამოყენების წესი

7. 1. პარტიის ფინანსებს შეადგენს პარტიის წევრთა ნებაყოფლობითი საწევრო გადასახადები. ამასთან, პარტიის მხარდამჭერთა, კერძო პირთა და ორგანიზაციათა შემოწირულობანი.

7. 2. პარტიის ბალანსზეა შენობები. პარტიის ეგიდით არსებული სხვა უძრავ-მოძრავი ქონება.

7. 3. პარტიის ფულადი სახსრები პოლიტიკური საქმიანობისა და საარჩევნო კამპანიების წარმოებისათვის იხარჯება პარტიის ეროვნული კომიტეტის დადგენილების საფუძველზე, საგანგებო შემთხვევაში კი ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის პირადი განკარგულებითა და პასუხისმგებლობით.

### 8. პარტიის ლიკვიდაცია

8. 1. დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაცია არ შეიძლება გახდეს დემოკრატიული პარტიის არც ერთი სტრუქტურის მსჯელობის საგანი. პარტიის, როგორც იურიდიული პირის, რეგისტრაციის საკითხი წყდება მოქმედი კანონმდებლობით.

8. 2. დემოკრატიული პარტიის თვითდაშლის შემთხვევაში მის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები და მის ბალანსზე არსებული უძრავ-მოძრავი ქონება გადადის საქართველოს რესპუბლიკის დროებით სარგებლობაში. დემოკრატიული პარტიის აღდგენის შემთხვევაში ამ წესდებისა და მისი საპროგრამო დოკუმენტების საფუძველზე მას უბრუნდება დემოკრატიული პარტიის მთელი მემკვიდრეობა.

### 9. ცვლილებები წესდებაში

9. 1. დემოკრატიული პარტიის წინამდებარე წესდებაში ცვლილებების შეტანის უფლება აქვს მის ეროვნულ კომიტეტს დამსწრე წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით.

# კვლავ აგუგუნდა ზარები...



**ათეული** წლობით დუმილის შემდეგ, ამ აღდგომის დღესასწაულზე, კვლავ აგუგუნდა ზარები, ათასფერად აბდღვრიალდა შიო მღვიმეს საეკლესიო კომპლექსი — საქართველოს მეექვსე საუკუნის უნიკალური არქიტექტურული ძეგლის განთქმული ფრესკები. ერთი-ორი წლის წინათ შეიძლებოდა ნიაღვრებს წაელეკათ მსოფლიო არქიტექტურის ეს შედევრი. და გადაარჩინეს შიო მღვიმე. ეს შეძლეს მცხეთის რაიონის მასწავლებლებმა, თბილისის მე-18 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა.

სანამ მრავალი ინსტანცია ბჭობდა, თუ რა მოეხერხებინათ შიო მღვიმესათვის, სად ეშოვათ მისი რესტავრაციის სახსრები, საქართველოს ძეგლთა ხსნის ჯგუფში გაერთიანებულმა ყმაწვილებმა თავიანთი გეგმა შეიმუშავეს. მათ შეისწავლეს ყველა პუბლიკაცია შიო მღვიმის მონასტრის მშენებლობის შესახებ. საქართველოს საპატრიარქომ, ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა მხარი დაუჭირეს მათ ინიციატივას. თბილისის ძველ უბნებში ახალგაზრდები აგროვებდნენ დანგრეული სახლების აგურებს, გამოიკვლიეს კომპლექსის თითოეული ნაგებობის მდგომარეობა და გადაწყვიტეს უწინარეს ყოვლისა გაეფართოებინათ და მოესწორებინათ მონასტრის ეზო, აღედგინათ საყრდენი კედელი, სადინარი, არხები, სამრეკლოს კიბე. თანდათანობით აღადგინეს ჩანგრეული ფილები, შეაკეთეს სახურავი, ბეტონით დაფარეს ნაწილები, სადაც წყალი ატანდა, კარნიზები, შეცვალეს კარ-ფანჯარა, დამპალი კოჭები. და ყოველივე ეს ხდებოდა პროექტების მიხედვით, რომლებშიც დაცულია მისი აგების პირველი წლების სამონასტრო კომპლექსის ზუსტი პირი. ღრმა ორმოს წმენდისას აღმოაჩინეს კვადრატული ქვებით მოკირწყლული ჭა, რომლის ფსკერზეც ორი გვირაბი გადიოდა.

მოსწავლეთა დახმარებით აიგო ფეხით სავალი კიდული ხიდი მდინარე მტკვარზე, რომლითაც უმოკლესი გზით ერთმანეთს დაუკავშირდა ძეგვის რკინიგზის სადგური და არქიტექტურული ანსამბლი.

შიო მღვიმეს აღდგენა პირველი დიდი და საინტერესო სამუშაოა, რომელიც მე-18 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა შეასრულეს. მათ ანგარიშზეა მცხეთის, კახეთის, მთელი რიგი სხვა ეკლესიების აღდგენაც, მათთვის პირველქმნილი სილამაზის მინიჭება.

**ალა დავითაია.**

ESM
თბილისი/TBILISI

ევროპული განათლება და ევროპული დიპლომი თბილისში

საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი უმაღლესი სასწავლებელი ESM-თბილისი ერთადერთია რესპუბლიკაში, რომელიც ევროპულ დიპლომს გასცემს

ESM-თბილისი ESM-International-თან ერთად ამზადებს ფინანსების მენეჯერს, მარკეტინგის მენეჯერს და საერთაშორისო კომერციული საქმიანობის მენეჯერს. გათვალისწინებულია სტაჟირება და პრაქტიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში. კურსდამთავრებული მიიღებს ESM-International-ის დიპლომს.

ESM-თბილისი მოსბახის სპეციალურ აკადემიასთან (გფრ) ერთად ამზადებს მენეჯერს წარმოების დარგში. დამამთავრებელ კურსს სტუდენტები გერმანიაში გაივლიან. კურსდამთავრებული მიიღებს მოსბახის სპეციალური აკადემიის დიპლომს.

სწავლების ვადა 5 წელია. მიიღებიან საშუალო, საშუალო-სპეციალური და არასრული უმაღლესი განათლების მქონე პირები 25 წლის ასაკამდე. სწავლება ფასიანია. მისაღები გამოცდები ჩატარდება ივლისში მათემატიკაში (ტესტები), უცხო ენაში (ტესტები) და ქართულ წერაში (წაკითხულის შინაარსი).

შაბათს, 14 მაისს, 12 საათზე გიწვევთ ღია კარის დღეზე, სადაც შესაძლებლობა გექნებათ გაივარჯიშოთ მათემატიკისა და უცხო ენის ტესტურ გამოცდებში და პასუხი მიიღოთ თქვენთვის საინტერესო ყველა კითხვაზე.

ცნობებისათვის დარეკეთ: 39.16.73 39.44.57
ან მობრძანდით: ვაჟა-ფშაველას 40,
ESM-თბილისი, ოთახი N 409

ეროვნული

## ინფორმაცია

### მზრუნველობა არ მოვაკლოთ!

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის მუშაკებმა გამარჯვების დღის აღსანიშნავად უმასპინძლეს მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთ ჯგუფს. აქ იყვნენ სახელოვანი მხედართმთავრები, ომგადახდილი ქალები, მკურნალები, ქალთა საბჭოსა და ახალგაზრდა ქართველ გვარდიელთა წარმომადგენლები. ეს გარკვეულწილად თაობათა შეხვედრაც იყო.

სამშობლოს წინაშე ვალმოხდილნი, მრავალ ჭირვარამგადახდილი ჩვენი მოხუცები გულისტკივილით ლაპარაკობდნენ ზოგიერთი ულირსი ადამიანის გამონათქვამზე, რომლებიც არარად მიიჩნევენ მათ დამსახურებას. ისინი ხომ მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმს ებრძოდნენ!

ომგადახდილთა წვლილის დავიწყება არ შეიძლება. ახლანდელი თაობა ვალშია მათ წინაშე და იმედია, მზრუნველობას არ მოაკლებს მათ!

**ზოღანა მელიქიშვილი.**

### გააქვთ ვალუტა

წლის მარტო უკანასკნელ თვეში საქართველოს მოქალაქეებმა, რომლებსაც აქვთ ბანკის ცნობები, რომ შეუძლიათ საზღვარგარეთ გაიტანონ ნაღდი ვალუტა რამდენიმე ათასი ამერიკული დოლარიდან რამდენიმე ათეულ ათასამდე, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ 200 ათასზე მეტი გაიტანეს. კანონით, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა მერაბ კაკულიამ განმარტა, ამგვარი საბუთები უნდა მიეცეთ მხოლოდ იმათ, ვისაც ორგანიზაცია ან საწარმო გზავნის მივლინებით მსოფლიოს ამა თუ იმ სახელმწიფოში. ამასთან სამუალო სადღეღამისო სამივლინებო მთლიანად არ უნდა აღემატებოდეს 1000-1500 ამერიკულ დოლარს. სწორედ ამიტომაც გადაწყვიტეს მებაჟეებმა ეს ცნობები შესამოწმებლად გადასცენ რესპუბლიკის პროკურატურას.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
საქინფორმის კორ.

### გვთავაზობს „სიმბოლო“

წარმატებით დამთავრდა ქალაქ გუს-ხრუსტალნის მინის წარმოების ბაზაზე შექმნილი რუსეთის ფირმა „სიმბოლოს“ და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელთა წინასწარი მოლაპარაკება. ქართველი აგრარიკოსები დაინტერესდნენ რუსეთის მხარის წინადადებით იმის შესახებ, რომ განუსაზღვრელი რაოდენობით შეუძლიათ მიაწოდონ დეფიციტური მინის ტარა კონიაკის, ღვინის, შამპანურის, სხვა სასმელებისათვის. ფირმა „სიმბოლო“ მზად არის მოგვაწოდოს ჰურჯელი რძის ნაწარმისათვის, სათბურის მეურნეობებისა და ფერმების გადასახური მინა.

### „იბერიის“ ლენტიდან

**თბილისი.** 1994 წლის 1 მაისიდან. თბილისის წყალსადენიდან მოწოდებული სასმელი და ჩანადენი წყლის გატარება-გაწმენდაზე, სამრეწველო, საბიუჯეტო, სახელმწიფო კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ყველა ორგანიზაციისათვის დაწესდა ახალი დროებითი ტარიფები. 1 კუბ. მ. სასმელ, მტკვრისა და ტექნიკურ წყალზე — 4.000 კუპონი; 1 კუბ. მ. ჩანადენი წყლის გატარება-გაწმენდაზე — 1.000 კუპონი; სულ — 5.000 კუპონი. მოსახლეობისათვის კი ძალაში დარჩა ძველი ტარიფები. კერძოდ, 1 კუბ. მეტრი სასმელი წყალი — 40 კუპონი; ჩანადენი წყლის გატარება-გაწმენდა — 10 კუპონი; სულ — 50 კუპონი, რაც 1 სულზე წყალმოხმარების ნორმების მიხედვით შეადგენს თვეში, საშუალოდ, 600-დან 1.200 კუპონამდე.

**მოსკოვი.** საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას და ყოფილი თავდაცვის მინისტრის თენგიზ კიტოვანის მიერ მოსკოვში ჩატარებულ პრესკონფერენციას რუსეთის რადიოსადგურმა „მაიაკმა“ ასეთი კომენტარი გაუკეთა: „ეს პრესკონფერენცია ადასტურებს, რომ საქართველოში არსებობს მძლავრი ანტიშევარდნაძისეული ოპოზიცია, ამიტომ რუსეთი, ალბათ, 10 მაისს არ მიიღებს გადაწყვეტილებას აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნების უზრუნველსაყოფად საკუთარი არმიის შეყვანის თაობაზე, რადგან არ შეიძლება ისეთ არასტაბილურ პოლიტიკურ ფიგურაზე დაყრდნობა, როგორიც შევარდნაძეა“.

### თუ კაცი გონიერია...

# მამა კარლო და ბურატინო,

## ანუ პოლიციის პოლკოვნიკი ტელეანძას დგამს

**ეთერშია** ზუგდიდის დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ოდიში“! — უკვე რამდენიმე თვეა ეს განცხადება ცისფერ ეკრანებთან იწვევს მაყურებელს, უბრალოდ კი არ იწვევს — ატყვევებს. მაგრამ მთელ ზუგდიდში, მისი ყველაზე ერთგული და გულშემატკივარი მაყურებელი, ალბათ, მაინც პოლიციის პოლკოვნიკი გრიგოლ ქობალიაა. თუმცა მთელი პროგრამა წინასწარ ზეპირად იცის, მაინც თვალმოუცილებლად უყურებს ხოლმე თავიდან ბოლომდე, ღელავს და განიცდის.

რა კავშირი აქვს პოლიციის ოფიცერს „ოდიშთან“?

ისეთივე, როგორც მამა კარლოს ჰქონდა ბურატინოსთან. ის არის მისი შემქმნელი და დამფრთიანებელი.

ეს მთელი ისტორიაა.

თავიდან დავიწყოთ.

თუნდაც იქიდან, რომ გრიგოლ ქობალია ჩხირკედელა კაცია.

თუნდაც იქიდან, რომ გრიგოლ ქობალია ტექნიკით გატაცებული კაცია.

თუნდაც იქიდან, რომ გრიგოლ ქობალია მიზანსწრაფული და შეუდრეკელი კაცია.

მაშ ასე...

...1986 წელს ავტოტრანსპორტის სარაიონთაშორისო სარეგისტრაციო-საგამოცდო ქვეგანყოფილების უფროსმა, მაიორმა გრიგოლ ქობალიამ თავისი დაწესებულების კომპიუტერიზება გადაწყვიტა, შრომატევადი სამუშაოს გასაიოლებლად, დაუსრულებელი ქაღალდომანიის შესაცვლელად.

პირველი, ვინც მხარი დაუჭირა და ხელიც გაუმართა მას, საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვის“ ხელმძღვანელი ოთარ ფაცაცია იყო.

საბჭოთა წარმოების ორი კომპიუტერი შეიძინა. ათი ათასობით პირადი ბარათი შეიყვანა მანქანების მეხსიერებაში. ყველაფერი გასაოცრად გაიოლდა, ნებისმიერი ინფორმაციის მოძებნა რამდენიმე წამის საქმე გახდა.

1989 წელს გრიგოლი მოსკოვს გაემგზავრა, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროში, რათა გამოცდილება გაეღრმავებინა, მაგრამ გაირკვა, რომ მთელს კავშირში მსგავსი რამ მხოლოდ ტომსკში არსებობდა, თანაც ჩანასახის სახით. მაშინ ტომსკში გამართულ საკავშირო თათბირზე საქართველოს გამოცდილება, როგორც იტყვიან, ყოველგვარი კონკურსის გარეშე ცნეს საუკეთესოდ და მისი ადგილზე შესწავლის მიზნით, 1990 წელს საკავშირო თათბირის ზუგდიდში გამართვა გადაწყვიტეს. 200-მდე წარმომადგენელი ჩამოვიდა მაშინ, ივნისში, ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან. ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჰოდა, გადაწყდა ამ დაწესებულების საკავშირო მეთოდურ-სასწავლო ცენტრად გარდაქმნა. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბაკატინმა გრ. ქობალიას ვადამდე მიანიჭა პოდპოლკოვნიკის წოდება. მისი კომპიუტერული მეთოდი დაინერგა 13 რესპუბლიკაში და საქართველოს 9 რაიონულ განყოფილებაში...

მაგრამ მერე რაც მოხდა, ყველამ ვიცით: სსრ კავშირმა ჩვენი ჭირი წაიღო. იმას გზაც იქით ჰქონია, მაგრამ საქართველოში აირია ყველაფერი. ძველი ღირებულებების გადაფასების მტკივნეულ პროცესს ბევრი უსამართლობაც მოჰყვა, როგორც იტყვიან, ნაბან წყალს ბავშვსაც უშირად გააყოლებენ ხოლმე. ჰოდა, გრიგოლ ქობალიას კბილი დაადგეს („რატომ კარგი ჯიგიაო“!) და ჯანღონით სავსე, საქმეს გადაგებული კაცი პენსიაზე გაისტუმრეს. საბედნიეროდ, სამართლიანობა მალე აღდგა. ზუგდიდის ავტოტრანსპორტის სარაიონთაშორისო სარეგისტრაციო-საგამოცდო ქვეგანყოფილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის სასწავლო-სამეცნიერო მეთოდურ ცენტრად გადაკეთდა და გრიგოლი მის დირექტორად დაამტკიცეს.

დღეს ამ ცენტრის ლაბორატორია 7 უახლესი უცხოური კომპიუტერით არის აღჭურვილი. მას 3 პროგრამისტი და 2 ელექტროინჟინერი ემსახურება. კომპიუტერთა მეხსიერება 100 ათასამდე ავტომანქანის მონაცემს ინახავს. ხდება ავტოინსპექციის ხაზით ახალი ავტომატიზებული სამუშაო ადგილების შექმნა და დანერგვა.

გრიგოლ ქობალიამ თავისი ცოდნა ისე განავრცო, რომ მისი მეცნიერული განზოგადება გადაწყვიტა და ბეჯითად შეება საქმეს. ჯერ კიდევ 1991 წელს საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრომ სერიით „ავტომატიკა და ტელემექანიკა. გამომთვლელი ტექნიკა“ მისი სამი ბროშურა დაბეჭდა. ამ ნაშრომებში ინფორმაციული ტექნოლოგიის არსი განიხილება სახელმწიფო ავტოინსპექციის რაიონული და საქალაქო განყოფილებების მართვის გაფართოებული სისტემის დაპროექტების მაგალითზე, შემდეგი თანამიმდევრობით: სისტემური გამოკვლევა, სისტემის არქიტექტურის შემუშავება, მართვის სისტემის დაპროექტება, გამართვა, საცდელი ექსპლუატაცია და დანერგვა. ნაჩვენებია ისეთ აპარატულ საშუალებებზე ორიენტაციის აუცილებლობა, რომლებიც აგებულია გაფართოების შესაძლებლობის მქონე არქიტექტურული თავისთავადობით, უმცროსიდან უფროს მოდელებთან ევოლუციური მიდგომის ჩარჩოებში, მოცემულია აგრეთვე არსებული სამრეწველო აპარატული და პროგრამული პროდუქტების ანალიზი. თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში უკვე წარდგენილი აქვს და დღედღეზე დაიცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე „ავტომატიზებული მართვის სისტემის ინტეგრაცია სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებში“.

ტექნიკით გატაცებასთან ერთად გრ. ქობალიას კომერციის ნიჭი და უნარიც მოსდგამს. ამ ორი თვისების შერწყმამ იგი 1989 წელს საქართველოში პირველი საკაბელო ტელევიზიის შექმნის იდეამდე მიიყვანა. ჯერ 500 ოჯახი ჩართო ქსელში. შემდეგ ამ რიცხვის გაოცმაგებისათვის სამზადისს შეუდგა. ამ მიზნით მცირე საწარმო „ელექტრონიკა-91“ ჩამოაყალიბა. საქმე კარგადაც აეწყო, მაგრამ ორიოდ წელი გავიდა და... კაბელები დაჭრეს და მოიპარეს. მხოლოდ აპარატურაღა შერჩათ.

გრიგოლ ქობალიამ საეთერო ტელევიზიაზე ფიქრი დაიწყო...

...და მალე ზუგდიდის ტელევიზიის ყოველდღიური [illegible] პროგრამა ეთერში გავიდა. ამას, რა თქმა უნდა, რთული ტექნიკური სამუშაო უძღოდა წინ, რომელიც მან ჩვეული შეუპოვრობით დასძლია.

მაგრამ 1992 წლის 6 იანვარს „დაუმორჩილებლობის მოძრაობამ“ ააფეთქა მაცხოვრის გორაზე დამონტაჟებული ტელეანძა, დაწვეს სასამსახურო შენობა. განადგურდა როგორც სახელმწიფო, ისე კომერციული ქონება.

ზუგდიდი უტელევიზიოდ დარჩა.

მაშინდელმა გამგებელმა ოთარ ფაცაციამ გრიგოლს სთხოვა ხელი მოეკიდა აღდგენითი სამუშაოსთვის.

კვლავ ხელახლა დაიწყო ყველაფერი.

1992 წლის თებერვალ-მაისში ზუგდიდში განუწყვეტელი მიტინგები მიმდინარეობდა, გრიგოლ ქობალია კი ოფლს ღვრიდა. მისი ხელმძღვანელობით ლითონკონსტრუქციის 74-მეტრიანი თვითნაკეთი ანძა აწყვეს ოსტატებმა. ანძის ალსამართავად ფოთიდან სპეციალური ამწეები „კატოები“ ჩამოიყვანეს (ანძა ამჯერად მაცხოვრის გორაზე კი არა, ქალაქის ცენტრში, საგზაო პოლიციის სასწავლო-სამეცნიერო მეთოდური ცენტრის შენობის ეზოში დადგეს, რათა დაცული ყოფილიყო თავდასხმისაგან). გადამცემი მოწყობილობა ზუგდიდს თბილისმა მისცა. საჭირო თანხის ნაწილი ადგილობრივმა ორგანიზაციებმა გაიღეს, 80 პროცენტი კი რესპუბლიკის გარეთ შეაგროვეს, რუსეთსა და სხვაგან მომუშავე თანაქალაქელთა შორის. მოგვიანებით თანამგზავრული ანტენაც ჩამოიტანეს მოსკოვიდან.

მაისში ტელეგადაცემები აღდგა. ზუგდიდმა კვლავ მიიღო თბილისისა და მოსკოვის პროგრამები. ეთერში გავიდა მისი ნალოლიავები სტუდიაც...

მაგრამ შემდეგ, როცა რეგიონი მთლიანად ექსპრეზიდენტის მომხრეთა ხელში აღმოჩნდა, რომლებმაც გამგეობის შენობაში საკუთარი სტუდია მოაწყვეს, გრიგოლ ქობალიამ თავისი აპარატურა ხიფათს გაარიდა და საიმედო ადგილას „დააკონსერვა“.

1993 წლის 7 ნოემბერს „ოდიშის“ გადაცემები კვლავ მოევლინა ცისფერ ეკრანს. ყოველდღიურად გადაიცემა გასართობი პროგრამა, ყოველ მეორე დღეს — საინფორმაციო პროგრამა „ციონი“.

სტუდია ნიჭიერი, მონდომებული ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული. აქვთ 3 უახლესი ვიდეოაპარატი, თვითნაკეთი სამონტაჟო მაგიდა.

ტელეკომპანია მოქალაქეთა კავშირის კოლექტიური წევრი გახდა, ზუგდიდის მოქალაქეთა კავშირის პრესცენტრთან ერთობლივად ამზადებენ გადაცემებს. „ოდიში“ ოფიციალურად იყო აკრედიტებული მოქალაქეთა კავშირის პირველ ყრილობაზე. საინტერესოდ, მაღალ პროფესიულ დონეზე მომზადდა 4-საათიანი რეპორტაჟი ყრილობის დარბაზიდან, დელეგატთა ინტერვიუები.

მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა „ოდიშს“, მსმენია თქვენს გადაცემებზე, ვიცი, რომ იგი პოპულარულია მოსახლეობაში და დიდი წვლილი შეაქვს მდგომარეობის სტაბილიზაციაში მართალი ინფორმაციის მიწოდებითო, განაცხადა ინტერვიუში.

ასეთია ზუგდიდელი მამა კარლოსა და ბურატინოს ამბავი.

რა მიგნებულად უთქვამს ხალხს, „თუ კაცი გონიერია, სოფელი ღონიერიაო“...

**ალეკო ასლანიშვილი,**
**ოდიკ ჟუხილავა.**

## ღვაწლი

**ქართული** ჰუმანიტარული მეცნიერების იმ მოღვაწეთა შორის, რომლებიც 40-იან წლებში გამოვიდნენ ასპარეზზე, თინათინ ყაუხჩიშვილს გამორჩეული ადგილი უჭირავს თავისი გარეგნული და შინაგანი სილამაზით, მაღალი ინტელექტით, ღრმა განათლებით, მკვლევარის ნიჭით, შესაშური შრომისუნარიანობითა და პროდუქტიულობით, მოქალაქეობრივი პოზიციის პრინციპულობითა და ფაქიზი ადამიანური თვისებებით.

ყველა ეს თვისება თ. ყაუხჩიშვილს სახლიდან — ჩვენი დიდი მეცნიერის სიმონ ყაუხჩიშვილის ოჯახიდან მოსდევს და ამ მემკვიდრეობას იგი ღირსებით ატარებს. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ უნივერსიტეტში სწავლისას, მას მასწავლებლებად ჰყავდა დიდებული მეცნიერებისა და პედაგოგების მთელი პლეადა და ბევრი რამ უდავოდ მათაც დაანათლეს. მაგრამ, რამდენი ვიცით იმავე თაობიდან, იმავე მასწავლებელთა ხელიდან გამოსული, ვისაც სასიკეთო არა გაუკეთებია რა. მაშ ყოველივეს ემატება თ. ყაუხჩიშვილის ღვთივმიმადლებული ნიჭი, ის ნოყიერი ნიადაგი, რომელზედაც ოჯახური ტრადიციაც და მასწავლებელთა ზრუნვაც ძალუმად გაიფურჩქნა.

თ. ყაუხჩიშვილმა 1941 წ. დაამთავრა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ ასპირანტურა და 1945 წლიდან შეუდგა მოღვაწეობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში და იმავდროულად უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე, სადაც მას ბერძნულ-ლათინური ენებისა და ლიტერატურის სპეციალისტთა არაერთი თაობის აღზრდა-მომზადებაში მიუღია ქმედითი მონაწილეობა, როგორც უაღრესად მაღალკვალიფიციურ, მომთხოვნ პედაგოგს.

თ. ყაუხჩიშვილმა 1953 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1968 წ. მას მიენიჭა პროფესორის, ხოლო 1975 წ. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებები; 1979 წ. იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1993 წ. აკადემიკოსად.

როგორც აღვნიშნეთ, თ. ყაუხჩიშვილი გამოირჩევა უდიდესი შრომისუნარიანობითა და პროდუქტიულობით, მისი წვლილი ქართული მეცნიერების განვითარებაში უაღრესად ფასეულია. თ. ყაუხჩიშვილის კვლევის ერთ-ერთი ობიექტია ქართულ-ბერძნული ენობრივი ურთიერთობები და ამ სფეროში მისი გამოკვლევები ქართული ენათმეცნიერების საინტერესო შენაძენია. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ იგივე გამოკვლევებს მნიშვნელობა ენიჭება თვით ბერძნული ენის განვითარების ცალკეულ კანონზომიერებათა დადგენისათვის.

მაგრამ განსაკუთრებული დამსახურება თ. ყაუხჩიშვილს საქართველოს ისტორიის შესახებ ბერძნული წყაროების შესწავლისა და პუბლიკაციის საქმეში მიუძღვის. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ თ. ყაუხჩიშვილმა პირველმა სისტემატურად შეისწავლა და ჯერ კიდევ 1951 წ. გამოაქვეყნა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბერძნული წარწერები. საქართველოში მოპოვებულ ცალკეულ წარწერათა პუბლიკაციები ადრეც ყოფილა, მაგრამ ერთობლიობაში, ერთიანი კორპუსის სახით, ისინი პირველად სწორედ თ. ყაუხჩიშვილმა გამოსცა. „გამოსცაო“ რომ ვამბობთ, აქ ძალზე ბევრი რამ იგულისხმება: ჯერ ერთი, ამ წარწერათა უმეტესობას პირველად თვით თ. ყაუხჩიშვილმა მიაკვლია, რისთვისაც მას მთელი საქართველოს მოვლა, რთული ტექნიკური სიძნელეების დაძლევა მოუხდა; შემდეგ, წარწერების გამოცემის სირთულე ის არის, რომ ბევრმა მათგანმა ფრაგმენტულად, დაზიანებული სახით მოაღწია და მხოლოდ ბერძნული ენისა და ეპიგრაფიკის სრულყოფილმა ცოდნამ მისცა მკვლევარს ასეთ წარწერათა აღდგენისა და სწორი წაკითხვის საშუალება; აღარას ვამბობ წარწერათა თარგმანის მაღალ ხარისხსა და აბსოლუტურ სანდოობაზე. და ბოლოს, თ. ყაუხჩიშვილი არ კმაყოფილდება მხოლოდ ტექსტის გაშიფვრითა და თარგმნით, წარწერებს ახლავს ვრცელი ფილოლოგიური და ისტორიული ანალიზი, რომლის შედეგად სათანადოდ არის შეფასებული წარწერის მონაცემები, აქ მოცემულ ცნობათა მეცნიერული ინტერპრეტაცია. აქვე აღვნიშნავთ, რომ თ. ყაუხჩიშვილს არც შემდგომ მიუნებებია თავი ამ სფეროში მუშაობისთვის. ჯერ ერთი, იგი შეისწავლის და აღწერილი წესით აქვეყნებს არქეოლოგიური გათხრების (მცხეთა, ვანი, ბიჭვინთა, ნოქალაქევი და სხვ.) შედეგად აღმოჩენილ ახალ წარწერებს, ამასთან, აგრძელებს ბერძნულ წარწერათა მოძიებას და მეცნიერულ დამუშავებას. ამის შედეგად მას უკვე გამზადებული აქვს ბერძნულ წარწერათა შევსებულ-დამუშავებული ახალი, ჭეშმარიტად მონუმენტური კორპუსი, რომელიც გამოცემას ელოდება.

# გამორჩენილი მეცნიერი, ღირსეული მოქალაქე

უაღრესად მნიშვნელოვანია თ. ყაუხჩიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის კიდევ ერთი მხარე, რომლითაც იგი სახელოვანი მამის — აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის ნამოღვაწარის ღირსეულ გამგრძელებლად გვევლინება. ეს გახლავთ საქართველოს შესახებ ბერძენ ავტორებთან არსებული მონაცემების შესწავლა-პუბლიკაცია. მან 6 წიგნად გამოსცა ბერძენ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ, ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორების (ჰეროდოტეს, ჰიპოკრატეს, მემნონის, სტრაბონის, აპიანეს) ცნობები მონოგრაფიულად შეისწავლა, პუბლიკაციებს აქაც დაურთო ვრცელი და მრავალმხრივი კომენტარები, რომელთაგან ბევრი დამოუკიდებელ მეცნიერულ გამოკვლევას წარმოადგენს; ამ მუშაობის შედეგების საფუძველზე შექმნა განმაზოგადებელი, სახელმძღვანელოს ტიპის ნაშრომი: „საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები“ (1976 წ.) და ბოლოს, მან ორ ტომად ცალკე გამოსცა ჰეროდოტეს „ისტორია“ მთლიანად, ასევე მთლიანად აპიანე ალექსანდრიელის „მითრიდატეს ომების ისტორია“ სტრაბონის „გეოგრაფიის“ ნაწილი, რომელიც შეიცავს ცნობებს მთელი კავკასიის შესახებ.

თ. ყაუხჩიშვილს კარგად იცნობენ უცხოეთის მეცნიერულ წრეებში, სადაც იგი დიდი ავტორიტეტითა და აღიარებით სარგებლობს. საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე მისი გამოსვლები ყოველთვის ქართული მეცნიერების ტრიუმფია. ერთი სიტყვით, აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის სახით ქართულ მეცნიერებას ჰყავს უაღრესად დიდი პროფესიონალი მკვლევარი.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ თ. ყაუხჩიშვილის პირადი, ადამიანური თვისებები, კერძოდ ერთგული და გულისხმიერი მეგობრობის დიდი უნარი. მისი ამ უნარით აიხსნება ის სიყვარული, რომლითაც თავის მეგობრებში სარგებლობს და კიდევ ის, რომ მისი ყველა მეგობარი ღირსეული პიროვნებაა.

მაღალი რანგის მეცნიერი-მკვლევარი, დიდბუნებოვანი მოქალაქეობრივი ღირსებით დაჯილდოებული პიროვნება, ფაქიზი და ერთგული მეგობარი — ასეთია თინათინ ყაუხჩიშვილი და ასეთად გვინდა იგი კიდევ დიდხანს ვიხილოთ ჩვენი საზოგადოების დამამშვენებლად.

**ნოდარ ლომოური,**
**აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი.**

### ჩემპიონმა ტიტული შეინარჩუნა

**მაისის** ბოლო რიცხვებში საბერძნეთის ქალაქ სალონიკი მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაში ქართველი სპორტსმენებიც ისპარეზებენ. ჩვენი გოგონები შეძლებისდაგვარად [illegible]

[illegible] ნტის ჩემპიონატის საგზურები მოიპოვეს მაია ცერცვაძემ (მწვრთნელები ნ. სილაძე, ე. ბედოშვილი) და ნინო წიკლაური (ლ. სოფრომაძე, ი. მაჭარაძე). მაიამ სახტუნელათი და ბურთით ვარჯიშში პირველობა არავის დაუთ[illegible]

**ეკა ჭითაიშვილი.**

### კალათბურთი

**დამთავრდა** [illegible]

### ჭადრაკი

**ვაჟთა** [illegible]

### კარიკატურისტის თვალით



უსათაურო.

[illegible] ნახატი.

### ხსოვნა

# ამირან ლალაიშვილი



ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი სამეურნეო ხელმძღვანელი და საზოგადო მოღვაწე ამირან ლალაიშვილი.

დაიბადა 1939 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ასპირანტურა, იყო ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი. 1959 წლიდან მუშაობს ქობულეთის კურორტვაჭრობის მთავარ ეკონომისტად, 1966 წლიდან — ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების მთავარ ეკონომისტად. 1972 წელს იგი ბობოყვათის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. ოცი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოში ამ ერთ-ერთ დიდ მეურნეობას. აქ სრულად გამოვლინდა მისი, როგორც უნარიანი ორგანიზატორის ღირსებები, მაღალი ადამიანური თვისებები. ბობოყვათის კოლმეურნეობა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ერთ-ერთ მოწინავე მეურნეობად ითვლებოდა, რისთვისაც იგი მრავალგზის იყო დაჯილდოებული.

ბოლო წლებში ამირან ლალაიშვილი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობდა.

ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, კარგი მეოჯახე, ჭეშმარიტი მამულიშვილი — ასეთი დარჩება ამირანის ხსოვნა მათ გულში, ვინც იცნობდა და თანამშრომლობდა მასთან.

**მეგობრები.**

გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სკოლის დასწრებული სწავლების მე-3 კურსის მსმენელი. პოლიციის სერჟანტი

**ნიკოლოზ (ნუკრი) შალვას ძე მელაძე.**

უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებსა და მის ახლობლებს.

### განცხადება

**საქართველოს** რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1994 წლის სხდომებზე მიიღო მთელი რიგი ნორმატიული დოკუმენტები, მათ შორის: საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სამკურნალწამლო საშუალებებით და სამედიცინო დანიშნულების საგნებით უზრუნველყოფის სისტემის, ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის ფასების (ტარიფების), წიაღით სარგებლობის გადასახადში შეღავათების, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამმართველოს შექმნის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის, ვალუტის გადასაცვლელი პუნქტების რეგისტრაციისათვის სარეგისტრაციო გადასახადის ოდენობის შესახებ და სხვ.

იურიდიულ და კერძო პირებს შეგიძლიათ აღნიშნულ და ყველა სხვა დადგენილებას გაეცნოთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის სპეციალიზებულ ბიბლიოთეკაში. **მისამართი: ილია ჭავჭავაძის პროსპექტი. 24. ტელ.: 22-37-05.**

**საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრი.**

### ხელმომწერთა საყურადღებოდ!

**დაიწყო ინდივიდუალური და საუწყებო ხელმოწერის მიღება რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებზე 1994 წლის II ნახევრისათვის.**

საუწყებო და ინდივიდუალური ხელმოწერა რესპუბლიკურ გამოცემებზე მიიღება წლეულს 15 ივნისამდე.

ხელმოწერის გაფორმება შეგიძლიათ თბილისის პრესის გავრცელების საწარმოო უბნებში, საქალაქო და რაიონულ საფოსტო განყოფილებებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

**საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო.**

ჩემპიონატზე ტელეკომპანია «ВИД»-თან ერთად

ტელეკომპანია „ВИД“ გეპატიჟებათ მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთში
ა. შ. შ. ფინალურ თამაშებზე.
ლოს-ანჯელესი, ლოს-ვეგასი, 11 დღე,
უმაღლესი დონის მომსახურებით.
მოგვმართეთ ყოველ დღე კვირის გარდა
11-დან 17 საათამდე.
გოთუას № 14 VII სართული, ტელ: 37-03-26
საბუთების მიღება 25 მაისამდე.

ფირმა «PrintShop»
თბილისი.
ვირსალაძის ქ. 8
ტელ.: 998696,
997712.



უახლესი ჰოლანდიური ტექნოლოგიით!
უმოკლეს დროში!
დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის ბეჭდებსა და შტამპებს
სავიზიტო ბარათებს, ბლანკებსა
და ფასიან ქაღალდებს
PS L.T.D

ქსეროქსი
უნაღდო ანგარიშსწორებით ნებისმიერი ფორმატის ნაწერ, ნაბეჭდ, ქსეროქსისა და პრინტერის ქაღალდს ადგილზე მიწოდებით.
38-91-64

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოზიაშვილი
[illegible]